№ 2764
სამშაბათი,
8 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2764
სამშაბათი,
8 მარტი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ეკლ. ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და [illegible] განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

მელანია მალხაზის ასული ზურმუხტაშვილისა, გიორგი და კონსტანტინე იოსების ძენი ზურმუხტაშვილები, ბარბარე დავითის ასული ზურმუხტაშვილისა და მარიამ ნიკოლოზის ასული ზურმუხტაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ: პირველი—საყვარელ ქმრისა, მეორენი—მამისა, მესამე და მეოთხე—მამამთილისა

იოსებ ხვთისავარის ძის ზურმუხტაშვილისას

პანაშვიდი ყოველ საღამოს, შვიდ საათზე, გასვენება ხუთშაბათს 10 მარტს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში 9½ საათზე. ნიკოლოზის ქუჩა საკუთარი სახლი № 18. დაკრძალვა კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. (4—89—1)

ელენე ბესარიონის ასული, ეკატერინე ალექსანდრეს ასული, ვიქტორ ილარიონის ძე ჯაფარიძენი, დიმიტრი და დავით ალექსანდრეს ძენი ნაზაროვები, ბესარიონ მიზარბეგის ძე მდივანი ოჯახობით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ქუთაისის ქალაქის საბჭოს მდივნის

ივანე ილარიონის ძის ჯაფარიძისას.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ხუთ საათზე, ბინაზე, დაკრძალვა 9 მარტს საღამოს 4 საათზე. (1—6.—1)

დედა სოფიო სიმონის ასული კნეინა მაყაშვილისა, შვილები, ძმები და დები განსვენებულისა გულითად მადლობას უცხადებენ ყველა იმ პირთ, ვინც დეპეშით, წერილით თუ პირადად სამძიმარი გამოუცხადეს

პოლკოვნიკ ვლადიმერ გაბრიელის ძის მაყაშვილის

გარდაცვალების გამო. (1—92—1)

დ. ყვირილა,

1905 წ. 9 მარტს, ქუთაისის ქართულ-დრამატიულ დასის მიერ **მ. ს. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება პირველად ახალი პიესა:

კაცობრიობის კეთილისმყოფელნი

დრამა 3 მოქ. ფილიპპისა, თარგ. ვ. გუნიას მიერ ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (3—6.—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:
მ. ი. ნიჟინაძე. კბილის 8—9 საათ.
ა. ზ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
მ. მ. მაჩაბელი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ქალი მ. ძ. იოსელიანი.—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ძ. ნ. [illegible]ახამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:
ს. ი. ჯაფაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 119. [illegible] სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციული ბანკის სახლი. (60—403—29)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—30)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—14)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ბინა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი
კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ. მიხეილის პრ. № 115. ნემცების ეკლესიის გვერდით ტელეფ, 729. (30—91—1)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—51).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

6 მარტი

პარიზი, 6 მარტი. „მატენ“-ის მტკიცე აზრით, იაპონია შემდეგის პირობებით დასთანხმდება ზავის ჩამოგდებაზე: მანჯურია და პორტ-არტური უნდა გაწმენდილ იქმნენ რუსებისაგან, რუსებმა უნდა მიიღონ იაპონიის სუვერენიტეტი კორეიაში, ამას გარდა იაპონელებს უნდა დაუთმონ რკინის გზა ხარბინამდე და გადაუხადონ კონტრიბუცია. გაზეთის ამგვარი განცხადება პირდაპირ არღვევს ბარონ სუემატცუს ინტერვიუს, რომელიც გუშინ იყო გამოქვეყნებული.

ბერლინი, 6 მარტი. რეიხსტაგში უკანასკნელ კამათის შესახებ „ნორდდოიჩე“ ამბობს, რომ გერმანია სასტიკად იცავდა ნეიტრალიტეტს ორივე მოპირდაპირე მხრის შესახებ; გერმანია არ მოუხრის ქედს ტენდენციონურ პოლიტიკას, რომელიც გრძნობებისაგან წარმოსდინდება. ვინც იმაზე იცნებობს, რომ მიუსიოს იაპონია გერმანიას, ის საკმაოდ ვერ აფასებს იაპონიის კეთილ-გონიერებას. პრინც არისუგავას დასწრება კრონ-პრინცის ჯვრის წერაზე ახლად ამტკიცებს გერმანიასა და იაპონიას შორის მეგობრულ განწყობილებასაო. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ი ამბობს, რომ მომავალში იაპონიას შეუძლიან გერმანიაში ისესხოს საჭირო ფული, რადგანაც ბიულოვის განცხადება, რომ ის არაა ამის წინააღმდეგი, ნებას გვაძლევს ვიფიქროთ ამ ოპერაციის განხორციელებაზეო. „ბერლინერ-ტაგებლატ“-ს დეპეშით აუწყებენ ნიუ-იორკიდან: იაპონიის ელჩმა განაცხადა, რომ იაპონია სრულებით არა ფიქრობს ფილიპინის კუნძულების შემოერთებასაო. იაპონიის მთავრობას ჰსურს კეთილ-განწყობილება იქონიოს შეერთებულ შტატებთან; მას ჰსურს მიჰბაძოს დიადი რესპუბლიკის მაგალითს და ცივილიზაციის შუქი შეიტანოს ჩინეთსა და კორეიაშიო.

პარიზი, 6 მარტი. „ტან“-ში იაპონიის ელჩ მოტონოს განცხადებაა მოთავსებული; ელჩის სიტყვით, იაპონია არც-კი ჰფიქრობს ზავის ჩამოგდებაზეო. ფრანგულ გაზეთებში მოხსენებული პირობანი, რომლებზედაც ვითომც დასთანხმდება იაპონია, მტკნარი სიცრუეაო.

პარიზი, 6 მარტი. „ტან“-ი აცხადებს იმ რადიკალურ გაზეთების საპასუხოთ, რომელნიც პროპაგანდას ეწევიან საფრანგეთ-რუსეთის კავშირის წინააღმდეგ: რუსეთი ომის შემდეგაც ისეთი სახელმწიფო იქმნება, რომელთანაც კავშირი ისტორიულ საჭიროებას შეადგენს საფრანგეთისათვისო.

ვილნო, 6 მარტი. „სევერო-ზაპადნი სლოვო“-ს და „ვილენსკი ვესტნიკ“-ს შეთანხმება მოუხდენიათ, დააწესონ სრული დასვენება კვირაობით ბეჭდვითი სიტყვის მშრომელთათვის.

ადენი, 6 მარტი. იტალიის წარმომადგენელმა პესტალოცცამ, რომელიც სამალილონდიდან მოვიდა, შეთანხმება მოახდინა მოლასთან იმ პირობებით, რა პირობებიც იტალიამ წარადგინა. ამ პირობებით ინგლისის ინტერესებიც იცვის. პირობაში ნათქვამია, რომ მშვიდობიანობის შენახვა სავალდებულოაო. მოლა პირობას აძლევს ამაში ინგლისს და იტალიას. მოლას სამყოფი ადგილი უნდა იყოს იტალიის პროტექტორატის ქვეშ რასგარდსა და რასგაბელს შორის. მოლა ემორჩილება იტალიის მთავრობას და ვალდებულია მიიღოს იტალიისაგან დანიშნული პრეზიდენტი. იქ, სადაც მოლა იცხოვრებს, თავისუფლად შეუძლიათ ივაჭრონ იარაღით. მონებით ვაჭრობა აკრძალულია. შეთანხმებამ აქ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და მას მოჰყვა გათავება ინგლისის სამძიმო ოპერაციებისა და სომალილონდი გამოიყვანა იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიაც ის დიდი ხანია იმყოფებოდა.

ტანჟერი, 6 მარტი. იმპერატორი ვილჰელმი მარტის გასულს, როცა გიბრალტარისკენ წავა, რამდენიმე საათით ტანჟერში შეჩერდება.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

6 მარტი.

ბაქო, 6 მარტი. დღეს გუბერნატორთან კრება ჰქონდათ მუსულმანთა და სომეხთა ინტელიგენციის წარმომადგენლებს. კრებას ბევრი ხალხი დაესწრო. გუბერნატორმა ლუტცაუმ მადლობა უთხრა წარმომადგენლებს მაზრის დასამშვიდებლად გაწეულ შრომისთვის. დღემდე არც ქალაქში, არც გუბერნიაში არ ყოფილა არც ერთი ისეთი შემთხვევა, როგორიც ბაქოსა და ერევანში მოხდა. გუბერნატორმა სთქვა: იმედი მაქვს, რომ თქვენი შემდეგი მოქმედება ისეთივე ნაყოფიერი იქნება, როგორც აქამდე იყოო. კრებამ თავის მხრივ მადლობა უთხრა გუბერნატორს საგუბერნიო და ადგილობრივ ადმინისტრაციის ტაქტიკურ მოქმედებისთვის და აგრეთვე იმისთვის, რომ იგი ნდობით მოეპყრა ინტელიგენციას.

ალექსანდროვსკი (მურმანზე), 4 მარტი. მურმანის ექსპედიციის ექიმმა, როცა იგი გემ „ანდრეი პერვოზვანნი“-თ მურმანს ათვალიერებდა, შეამჩნია 21 ავადმყოფი სურავანდით. გამოირკვა, რომ მცხოვრებლები დიდს გაჭირვებაში არიან სანოვაგის უქონლობის გამო; ექსპედიციამ 650 მ. სანოვაგე დაურიგა მკვიდრთ. დაურიგეს მცხოვრებლებს აგრეთვე საჭირო წამლებიც. ხაზინამ ათასი ფუთი პური გამოიღო.

სტამბოლი, 6 მარტი. აღმოსავლეთ მაკედონიაში მცხოვრებლები გაჭირვებული არიან შიმშილობით.—სულთანმა ნება დართო ბულგარელებს მათ დიდის ხნის თხოვნაზე, რომ ბულგარიის ეკლესიას უსკიუბში ნება მიეცეს ზარების ჩამოკიდებისა.

მოსკოვი, 6 მარტი. კონსერვატორიის მოსწავლეების უმეტესმა ნაწილმა თხოვნით მიჰმართა დირექტორს, განაახლეთ კონსერვატორიაში შეწყვეტილი მეცადინეობაო. მოსკოვის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებლებზე მზრუნველ საზოგადოებასთან არსდება საამხანაგო ფონდი მასწავლებელ კაცთა და ქალთა დასახმარებლად იმ შემთხვევაში, თუ იგინი ადგილს დაჰკარგვენ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. გენ. კუროპატკინს გენ. ლინევიჩისათვის ჩაუბარებია მთავარ-სარდლობა და 4 მარტს პეტერბურგს წამოსულა. ახალი მთავარ-სარდალი იუწყება, რუსის არმიები უკან დახევას განაგრძობენო. იაპონელები დღემდე არ ეშვებიან და ფეხდა-ფეხ მისდევენ რუსებს. ტოკიოში ჰფიქრობენ, რუსები ხარბინამდე ვეღარსად შედგებიანო. შერიგებაზე მეტად არეული ცნობები იბეჭდება, უფრო სჩანს, რომ რუსეთი ჯერ არა ჰფიქრობს ზავის ჩამოგდებას.

„მატენ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: რუსის მთავარ-სარდალი მანჯურიაში 300 ათას მანეთს იღებს წელიწადში ჯამაგირად, არმიის უფროსები (გენ. კაულბარსი, ბილდერლინგი) 125 ათასს მანეთს თითოო.

„ტაიმს“-ს ატყობინებენ [illegible]დან: იაპონური გაზეთები, როგორც ყოველთვის, მეტად თავდაჭერილ კილოზე [illegible] მუკდენის ბრძოლაზე და ამბობენ, რუსეთის მთავრობა არც ეხლა მოინდომებს შერიგებასაო. („ო. ნ.“).

რუსის ჯარის უკან დახევა. პირველად რუსის მარცხენა ფრთამ და ცენტრმა დაიწყეს უკან დახევა. „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი იუწყება: რუსის მარცხენა ფრთამ 22 თებერვალს საღამოთი უკან დაიხია. მეტად საწყენი და გულის სატკენი იყო უკან დახევა იმ პოზიციებიდან, სადაც მთელის რაზმის ორი-მესამედი დაწვა (დაიჭრა და მოჰკლეს)... მაძიადან ქვემოდ სურსათის საწყობები იწვოდა და ცეცხლის ალი ღამით გზას ანათებდა და თვალსა გვჭრიდა, თითქო ჩვენ გულში ჩახედვას სცდილობდა. ჩვენი გული კვნესოდა, იტანჯებოდა. მწარე ფიქრები უფრო გვიწუხებდა გულსა. ახ, რატომ, პოზიციებზე არ გავწყდით ყველანი!

24 თებერვალს ღამით ხომ მთელმა ჯარმა დაიწყო უკან დახევა. იმავ გაზეთის მეორე კორესპონდენტი იუწყება: ამ უკან დახევამ დიდი ზარალი მოგვცა, მაგრამ ყველაზე ცუდი ისაა, რომ ჯარს გული გაუტყდა, მით უმეტეს, რომ მეტად გაჩქარებით ვიხევდით უკან. ჯარი აირ-დაირია, ბატალიონი თავის პოლკს ვერა ჰპოვობდა, პოლკი—დივიზიას დადივიზია—კორპუსსაო.

მუკდენი და სედანი. ბევრს ეგონა, იაპონელები „სედანს გაუმართავდნენ რუსის არმიას“ მუკდენთან. გაზ. „კიევსკი ოტკლიკი“ სწერს: ვაი თუ სედანზე უარესი საქმეც დაემართოს რუსის არმიას, ვაი თუ ხამალინის მთის ქედი (ტელინის სამხრეთით) სამარედ გაუხდეს მრავალ რუსის სალდათს... მართლაც სედანი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გარემოება მეტისმეტად, არა ჩვეულებრივად შეუწყობს ხელს გამარჯვებულ არმიას. სედანის დროს ფრანგებს ერთის მხრივ ბელგიის საზღვარი ჰქონდათ, მეორეს მხრით—ლიუქსემბურგისა, მესამე მხრიდან პრუსიელების არმია, თანაც პრუსიელებს მოლტკეს უფროსობით 7½ კორპუსი ჯარი ჰყავდათ, ფრანგებს სულ 4 კორპუსი. იაპონელებს-კი მუკდენთან არა თუ მეტი ჯარი არა ჰყავდათ, პირიქით გაცილებით ნაკლები ჰყავდათ რუსებზე; არც თუ გარემოება უწყობდათ ისე ხელსა, როგორც პრუსიელებს სედანთან. ეგაა უკან დახევის დროს კი დიდი ზარალი მოუვიდოდა რუსის ჯარს...“. („ო. ნ.“).

რუსებს მუკდენთან გაცილებით მეტი ჯარი ჰყავდათ იაპონელებზე. გენ. კუროპატკინს 400 ბატალიონზე მეტი ქვეითა ჯარი ჰყავდა, 200 სოტნასა და ესკადრონზე მეტი კავალერია და 1500 ზარბაზანზე მეტი ჰქონდა. იაპონელებს-კი, როგორც „რუსკი ინვალიდ“-ში გამოცხადებულ ცნობებიდან სჩანს, სულ 234 ბატალიონი ქვეითა ჯარი, 51 ესკადრონი კავალერია ჰყავდათ და 846 ზარბაზანი ჰქონდათ. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ იერიში იაპონელებს მიჰქონდათ, რუსები-კი გამაგრებულ პოზიციებზე იდგნენ და მხოლოდ იერიშის მოგერებას სჯერდებოდნენ. („ო. ნ.“).

პოლკოვნიკი გედკეც სწერს „ბერლინერ ტაგებლატ“-ში: მუკდენთან [illegible] ქვეითა ჯარი და არტილერია ნაკლები იყო რუსისაზე, იაპონიის კავალერია ხომ დაახლოვებით ერთს მესამედს შეადგენდა რუსის კავალერიისასაო. („რ.“).

იაპონელებს რომ მეტი ჯარი ჰყოლოდათ, მუკდენი ნამდვილ სედანად გადაიქცეოდა და ერთი რუსი ვეღარ წაუვიდოდათ ხელიდან.

იაპონიისა და რუსის კავალერია. გაზ. „კიევლიანინ“-ი სწერს: „მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს რუს მკითხველზე ტოკიოდან მიღებული დეპეშა: „იაპონიის კავალერიაა ბრწყინვალედ მოქმედებდა, მეტად მარდად და სწრაფად გაიარა დიდი მანძილი, რუსების ქარავნები ჩაიგდო ხელში, რკინის გზა დაანგრია და მიწაში ჩაწყობილი ნაღმები ააფეთქაო“. ჩვენი (რუსის) მრავალი კავალერია სად-ღა იყო? ამ ხანგრძლივ ბრძოლის დროს რატომ არა ისმოდა-რა რუსის კავალერიის მოქმედებაზე? როცა იაპონელებმა მოულოდნელად გვერდიდან მოუარეს რუსის არმიას, სად იყო ჩვენი კავალერია და რატომ დროზე ვერ გაიგო ეს ამბავიო?

პოლკოვნიკ გედკესაც უკვირს რუსის კავალერიის მოქმედება. სად იყო რუსის კავალერია, როცა იაპონელები მუკდენს დასავლეთიდან მოუახლოვდნენ და რუსის არმია განსაცდელში ჩააგდესო. („რ.“).

რუსის ჯარის ზარალი. თუმცა ჯერ რიგზე არ ვიცით, მაგრამ უეჭველია რუსის ჯარს დიდი ზარალი მოუვიდა. ინგლისურ და იაპონურ წყაროებიდან იუწყებიან, ვითომ იაპონელებმა რუსებს 150 ათასი კაცი მოუკლეს და დაუჭრეს და 50 ათასი რუსი დაატყვევესო. მთელი ერთი ბრიგადა დაატყვევესო, ეგაა არა სჩანს, რომელი ბრიგადა. 100-მდე დიდი ზარბაზანი ჩაიგდეს ხელში იაპონელებმაო. 26 თებერვალს იუწყებოდნენ, მუკდენს ახლო და იმის დასავლეთით კიდევ ორი რუსის კორპუსი იდგა და იაპონელები იმათ დატყვევებასაც ცდილობდნენო. („ნ.“).

„ეკო დე პარი“-სა და „პტი პარიზიენ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტები იუწყებიან: ბარონ კაულბარსის მეორე არმიის უმეტეს ნაწილს წრე შემოავლეს იაპონელებმაო. („ს.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი იუწყება: შახეს პოზიციებიდან რომ უკან დაიხიეს, რუსებმა მიატოვეს რკინის გზა, სამხედრო ტელეგრაფი, სამხედრო გზები 500 კვადრატიულ მილის სივრცეზე და უზარმაზარი ბანაკი წითელის ჯვრისა; ამას გარდა რუსებმა დასწვეს საკვებ სურსათისა, ქვა-ნახშირისა და თავის უშველებელი საწყობები. ბოლმა და ცეცხლის ალმა ბრძოლის ადგილები მთლად დაჰფარა. მზიანი, თბილი ამინდი იყო და დაჭრილნი მეტ ტანჯვას გადარჩნენ. („რ. ვ.“).

ტოკიოდან ატყობინებენ ფრანგულ გაზეთებს: იაპონიის იმპერატორის ბძანებით მუკდენიდან ნაშოვნ დავლისაგან, იაპონიაში იმდენი მასალა გაიგზავნება, რომ ტოკიოს ახლო ტრიუმფალური ვიწროლიანდაგიანი რკინის გზა აშენდეს, სიგძით 75 ვერსტიო. („ბ. ვ.“).

უცხოეთის პრესის აზრი მუკდენის ბრძოლაზე. გერმანული გაზ. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ი სწერს: თუ იაპონური ცნობები გამართლდება, მაშინ გენ. კუროპატკინს არმიის ნახევარი დაუკარგავს. ეჭვი არაა, რუსები ძლიერ დამარცხდნენ და ეხლა ძნელი გამოსაცნობია, რა შედეგი მოჰყვება ამ დამარცხებას.

„ნ. ფრ. პრესე“ ამბობს: რუსეთის ოდესმე ამაყ და ძლიერ ნახევარ მილიონ ჯარიდან მხოლოდ ნაშთი-ღა გადარჩა. რუსის ჯარს ეხლა არც სამხედრო სურსათი აქვს, არც საჭმელიო.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს: იაპონელთა გამარჯვება მუკდენთან სრული ბრწყინვალე გამარჯვებააო.

„ბერლ. ლოკალ ანცაიგერ“-ი ამბობს: თუმცა რუსებმა საოცარი მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს იაპონელებს, 12 დღის საშინელ სისხლის ღვრის შემდეგ ბედნიერი იაპონელი მთავარ-სარდალი მაინც გამარჯვებული გამოვიდა... მართალია გენ. კუროპატკინმა იშვიათი მხნეობა გამოიჩინა, მაგრამ მაინც უნდა აღვიაროთ, რომ მარტო მხნეობა არა კმარა გამარჯვებისათვის. გამარჯვების პლანი დაწვრილებით უნდა იყოს მოსაზრებული, სარდალი გაბედულად უნდა მოიქცეს და სამხედრო ბედის სასწორი თავის მხარეს გადახაროს. ვინც თაოსნობას მუდამ თავის მოწინააღმდეგეს უთმობს, ის ვერას დროს ვერ გაიმარჯვებს. („რ. ს.“).

„ფრანგული გაზ. „ჟურნალ დე დება“ სწერს: მანჯურიის სატახტო ქალაქთან მომხდარი ბრძოლა უდიდესი ბრძოლაა ახალ ისტორიაში. იაპონელები თავიანთ სამხედრო ხელოვნების წყალობით დიდ სახელმწიფოების პირველ რიგში მოექცნენო.

ინგლისური და მეტადრე ამერიკული გაზეთები გამარჯვებას დღესასწაულობენ და მარშალ ოიამას ჰანიბალსა, ფრიდრიხ დიდსა და ნაპოლეონს უდარებენ. რუსეთს ერთი გზა-ღა დარჩენია, საჩქაროდ უნდა მოურიგდეს იაპონიასაო („რ. ს.“).

გერმანელ გენერლების აზრი მუკდენის ბრძოლაზე. იაპონიის არმიის ინსტრუქტორად ნამყოფს გერმანელ გენ. მეკელს უთქვამს: რუსები ირწმუნებიან, მუკდენიდან უკან დახევა დიდი ხანია გადაწყვეტილი გვქონდა და მუკდენის დაკარგვას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. მაშ რისთვის შესწირეს 50 ათასი კაცი მუკდენის სამხრეთით გამაგრებულ პოზიციების დაცვას! მანჯურიის ძველ დიდებულ ქალაქის დაპყრობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინელების თვალში. მაგრამ უმთავრესი მნიშვნელობა მაინც იმასა აქვს, რომ რუსის არმია დამარცხდა, ისიც რიცხვით ნაკლებ მტრისაგან და ისეთ პოზიციაზე, რომელსაც რუსები რამდენიმე თვის განმავლობაში ამაგრებდნენ ყველა საშუალებით, რასაც-კი თანამედროვე სამხედრო ხელოვნება იძლევა. ეხლა ამ ბრძოლამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ იაპონელი სალდათი სჯობია რუსისას. ეხლა რუსის არმია იმდენად დასუსტებული იქნება, რომ ხანგრძლივი შესვენება და ბევრი მაშველი ჯარი დასჭირდება, თორემ უამისოდ სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს იაპონელებს. რა ნელა მიდის მაშველი ჯარი რუსეთიდან მანჯურიაში, ეს ხომ კარგად ვიცით. იაპონელების გამარჯვებამ მუკდენთან ომის დასასრული დააახლოვა. („ნ“).

პრუსიელ გენერალს ფონ-გაილს „ვინ. ალგ. ცაიტ.“-ის ბერლინელ კორესპოდენტისათვის უთქვამს საუბრის დროს: „იაპონელებმა ეხლა ისეთი საქმე გაარიგეს, რომ ყველანი გააოცეს. მუკდენთან გამარჯვება საოცარი რამაა. ისტორიაში, არა მგონია, ბევრი იყოს ამისთანა მაგალითი. არ ვიცი სწორედ, რა უფრო გასაკვირველია: გენიალურად შედგენილი პლანი, თუ საოცარი სისწრაფე და სისწორე, რომლითაც ეს პლანი ზედ-მიწევნით, უკლებლივ აასრულეს იაპონელებმა. არას გეტყვით ყვითელ საფრთხესა და იაპონიის ნამდვილ განზრახვაზე.

ყვითელ საფრთხეს ეჭვის თვალით ვუცქერი და არც ის ვიცი, თუ რას უპირობს იაპონია ჩინეთსა და თეთრ რასას (მოდგმას). მაგრამ იმის თქმა კი შემიძლიან, რომ იაპონიის ერმა დიდი სულიერი და გონებრივი ძლიერება გამოიჩინა და ბუნების ყველა კანონის წინააღმდეგი იქნებოდა, რომ ამისთანა ერმა თავისი ულეველი ძალა არ გამოიყენოს და სადმე თავის კუნძულებ გარედ არ მოიხმაროს. საქმე მხოლოდ იმაშია, თუ ეს ჭეშმარიტად დიდებული ერი სად მოიხმარებს თავის გასაოცარ მხნეობას და სულიერ სიმდიდრეს. სულ ერთის წლის წინად-კი ყველანი მედიდურად ვუცქეროდით იაპონიას და ისეთივე წარმოდგენა გვქონდა იაპონელებზე, როგორც მარსის მცხოვრებლებზე". („ო. ნ.").

რუსეთის ახალი სამხედრო სესხი. რუსის ჯარის მუკდენთან დამარცხებამ, როგორც მოსალოდნელიც იყო, საფრანგეთში შიში გამოიწვია, ვაი თუ რუსეთ-საფრანგეთის კავშირი დაირღვესო. ამას გარდა, რუსის ჯარის დამარცხებას სხვა შედეგიც მოჰყვა. „ნ. ფრ. პრესე" და სხვა გაზეთები იუწყებიან: ბოლოს დროს რუსეთს საფრანგეთში ახალ სამხედრო სესხის—1300 მილიონ ფრანკის—გამოცემა უნდოდა. საფრანგეთის მთავრობა ეცადა და ძალას ატანდა ბანკებს, მაგრამ ბანკებმა უპასუხეს, 600 მილიონ ფრანკის მეტის იმედი ნუ ექნება რუსეთს, ისიც იმ პირობით, რომ ომის გათავებამდე არავითარი სესხი აღარ გამოიცეს საფრანგეთშიო. („ს.").

ჩვენი მოთხოვნილებანი.

18 თებერვალს გამოიცა უმაღლესი ბძანება, საიდანაც სჩანს, რომ მთავრობას გადაუწყვეტია მოიწვიოს ქვეყნის წარმომადგენლები საკანონმდებლო შრომაში მონაწილეობის მისაღებად. ამ ბრძანებისამებრ შემუშავება და დადგენა იმ წესისა და რიგისა, რომლითაც უნდა მოხდეს წარმომადგენლების არჩევა ხალხისაგან, მინდობილი აქვს შინაგანთ საქმეთა მინისტრს. უეჭველია მინისტრი უკვე მუშაობს არჩევნის წესრიგის გამოსარკვევად და სწორედ ეს წესრიგი არის ახლა ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი. პრინციპი ხალხის წარმომადგენლების მოწვევისა საკანონმდებლო შრომაში ფრიად კარგი და სასარგებლოა, მაგრამ ცარიელი პრინციპი არაფერია, თუ იგი არ იქნება განხორციელებული შესაფერის წესით და რიგით. ამიტომ ნამდვილი ღირსება და მნიშვნელობა წარმომადგენლების მოწვევისა მაშინ გამოჩნდება, როდესაც ეს წეს-რიგი იქნება გამოცხადებული.

ხალხის წარმომადგ[illegible] წეს-რიგის გარდა ჩვენ დიდად გვაინტერესებს ერთი კითხვა: წარმომადგენლების არჩევის უფლებას მთავრობა ჩვენც მოგვანიჭებს თუ არა? ეს კითხვა გვებადება იმიტომ, რომ ყოველთვის, როცა იმპერიაში კარგი რამ წეს-წყობილება შემოუღიათ, ჩვენ არ ვუცვნივართ ღირსად და არ მოუციათ ჩვენთვის ის, რაც საჭიროდ უცვნიათ რუსების გუბერნიებისათვის. ამას მიზეზად დაუსახელებიათ ჩვენი ვითომ მოუმწიფებლობა უკეთესის მოქალაქობრივის ცხოვრებისათვის. ახლაც, როდესაც რუსეთში მყარდება [illegible]ნა დიდი და მნიშვნელოვანი უფლება, [illegible]რიც არის ხალხის მონაწილეობა სა[illegible]ს კანონების და წეს-წყობილების [illegible]ბაში, შეიძლება, მთავრობამ ჩვენ კიდევ მოუმწიფებლად გვცნოს და ეს უფლება ჩვენ არ მოგვცეს. მაგრამ ისიც შეიძლება, რომ მთავრობამ ახლა მაინც აღარა გვცნოს უღირსად და მოუმწიფებლად და შესაძლებლად დაინახოს ჩვენც რუსებთან ერთად მოგვცეს უფლება ჩვენის წარმომადგენლების არჩევისა რუსეთის საერო კრებაში მონაწილეობის მისაღებად.

ასე იქნება თუ ისე, ქართულს მწერლობას მუდამ ერთი ვალი აძევს. ეს არის: ქართველის ერის საჭიროებათა გამორკვევა, მათ დაკმაყოფილების საშუალებათა აღნიშვნა და შინაურის წეს-წყობილების სასურველის ფორმის ჩვენება. ეს იმიტომ რომ მხოლოდ მწერლობაში იჩენს თავს ხალხის, მთელის ერის ან მის ნაწილების მისწრაფებანი და მოთხოვნილებანი.

თუ ბედმა არ დაგვჩაგრა და ჩვენს ერსაც მიეცა უფლება თავის წარმომადგენლების არჩევისა რუსეთის საერო კრებისათვის, ჩვენი ხალხი აირჩევს ისეთს კაცებს, რომლებიც მოახერხებენ გამოსთქვან და დაიცვან რუსეთის საერო კრებაზე ჩვენს მწერლობაში აღნუსხული ჩვენის ერის საჭიროებანი.

ჩვენ ამ მცირე წერილში არ შევეხებით მთლად ყველა საჭიროებებს და არც მოსახერხებელია დაწვრილებით და სავსებით ერთს წერილში მათი გამორკვევა. აქ მხოლოდ იმას მოვიხსენიებთ, რომ ჩვენი საჭიროებანი ორგვარია. ერთნი არიან საერთონი მთელის იმპერიის მცხოვრებლებთან, მეორენი განსაკუთრებულნი, რომელნიც მხოლოდ ქართველობას ეკუთვნიან და აუცილებლად უნდა დაკმაყოფილებულ იქმნან რუსეთის მკვიდრებთან გათანასწორებისათვის.

პირველის რიგის საჭიროებათა გამორკვევაში და მათ დამაკმაყოფილებელ საშუალებათა ჩვენებაში ქართულს მწერლობას და საქართველოს წარმომადგენელთ საერო კრებაში შრომა მოუხდებათ მთელის იმპერიის მწერლობასა და წარმომადგენლებთან ერთად, ხოლო მეორე რიგის საჭიროებათა გამორკვევასა და მათ დამაკმაყოფილებელთ საშუალებათა ჩვენებაში როგორც ქართული მწერლობა, ისე ქართველი წარმომადგენლები, შეიძლება, შეხვდნენ დიდს წინააღმდეგობას როგორც მთავრობისა, ისე რუსის მწერლობის და წარმომადგენლების ერთის ნაწილის მხრივ.

სწორედ იმიტომ რომ მოსალოდნელია ასეთი წინააღმდეგობა ქართველის ერის ზოგიერთ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის, ჩვენს მწერლობას მოვალედ ვთვლით უმთავრესად ამ საჭიროებათა გამორკვევას მიაქციოს ყურადღება და ეცადოს გაჰფანტოს ის ყალბი მოსაზრებანი, რომლებზედაც იქნება დაფუძნებული წინააღმდეგობა.

საფუძველი ქართველების განსაკუთრებულის მოთხოვნილებისა არის ის გარემოება, რომ ქართველი ერი ჩამომავლობით, ენით და ისტორიულის ცხოვრებით სრულებით ცალკე ხალხია და არაფერი საერთო აქვს-რა რუსის ერთან. ეს სამი გარემოება სრულებით განსხვავებულს სახეს აძლევს ქართველს ერს და სანამ სიცოცხლის ნიშან-წყალი აქვს, არ შეიცვლის ამ სახეს, რომელიც მით უფრო გაცხოველდება, რაც უფრო მეტად გავრცელდება ხალხში ევროპიული განათლება და თვითშეგნება. მოსპობა განცალკევებულის სახისა იმისთანა ერისა, როგორიც არის ქართველი ერი, ფრიად და ფრიად ძნელია, თუ შეუძლებელი არ არის. ყოველი ცდა ამისთანა ერის განსაკუთრებულის სახის მოსპობისა გამოიწვევს ურიცხვს მსხვერპლს, რომელსაც ვერ გაამართლებს ვერავითარი სახელმწიფოს ინტერესი.

სახელმწიფოს ინტერესი არამც თუ არ მოიგებს ამისთანა ცდისაგან, არამედ ბევრსაც წააგებს. უმთავრესი საგანი სახელმწიფოსი ის არის, რომ დაიცვა თავისი ერთიანობა, მშვიდობიანი განწყობილება მცხოვრებთა შორის და კულტურული განვითარება ყველა თავის ნაწილებისა. იმ შემთხვევაში-კი, როდესაც სახელმწიფოს უმთავრესი ერი სცდილობს გადააგვაროს ამავე სახელმწიფოს მეორე-უფრო მცირე-რიცხოვანი ერი, ჰბადავს ამით განხეთქილებას, არღვევს მშვიდობიანს განწყობილებას და იწვევს იმისთანა მოქმედებას, რომელიც არ შეეფერება კულტურულს განვითარებას (მტრობას, ზიზღს, მკვლელობას, ღალატს, დევნას და სხვ.). ხოლო როდესაც სახელმწიფოს უმთავრესი ერი არ ეხება სახელმწიფოს მეორე ერის სახეს, არ სცდილობს მის გადაგვარებას და აძლევს სრულს უფლებას განვითარდეს თავისუფლად, მაშინ სახელმწიფოს სხვა-და-სხვა ერთა ერთობა მაგრდება მტკიცედ, მცირე რიცხოვანი ერი იყვარებს უმთავრესს ერს ძმურად და მხოლოდ კულტურულს განვითარებას ანდომებს თავის ძალ-ღონეს.

ის საფუძველი, რომელიც სახელმწიფოს მთავრობას და უმთავრესის ერის წარმომადგენელთ მოჰყავთ ხოლმე სხვა ერების გადაგვარებისათვის—სახელმწიფოს ერთიანობის განმტკიცება და განცალკევების სურვილის (სეპარატიზმის) მოსპობა—სრულებით უადგილოა. როგორც ვსთქვით, სახელმწიფოს ერთიანობას ხელს უწყობს მხოლოდ ერთა უფლების ხელუხლებლად დაცვა, ხოლო ძირს უთხრის ამ უფლებათა დათრგუნვა. სეპარატიზმი ნიადაგს პოულობს რომელსამე ერში მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ერი დაჩაგრულია მთავრობისაგან ან სახელმწიფოს უმთავრესის ერისაგან. ხოლო როდესაც რომელიმე ერი, ისტორიულის სხვა-და-სხვა გარემოებით მოყოლილი ერთს სახელმწიფოში რომელსამე სხვა ერთან, არ არის დაჩაგრული, მაშინ იგი თავის სასარგებლოდ ჰპოვებს დარჩეს იმ სახელმწიფოში და აზრადაც არ მოსდის განცალკევება, რადგან თავისთავად კავშირი და ერთობა ერთა შორის ყოველის მხრით დიდად სასარგებლოა. ადამიანებმა და ერებმა კარგად შეიგნეს, რომ ცხოვრების განვითარებისთვის განცალკევება კი არ არის სასარგებლო, არამედ ერთობა, ისეთი ერთობა, სადაც თვითეულის ადამიანის და ერის უფლება უზრუნველყოფილი იქნება.

ქართველი ერი შეუერთდა რუსეთს ამ ასის წლის წინად თავის ნებით და სურვილით. ქართველები მოელოდნენ რუს-ხელმწიფის მფარველობისაგან გარეშე მტრების მოშორებას, დაკარგულის პროვინციების დაბრუნებას და მშვიდობიანად თავიანთ ცხოვრების განვითარებას. რუსეთთან შეერთება ქართველს მეფეებს და ერს მიაჩნდათ არა მოსპობად ეროვნულის არსებობისა, არამედ მის განგრძობად და განვითარებად. სამწუხაროდ, გასულის საუკუნის განმავლობაში მთავრობის მოქმედებამ იმ ნაირი მიმართულება მიიღო, თითქო ნებაყოფლობითს შეერთებას აზრად ჰქონდეს ქართველთა ეროვნულის არსებობის უარყოფა და სრული გადაგვარება. ამ ნაირს მიმართულებას ახლა, როდესაც თვით რუსეთის ერის ცხოვრება ახალს პირობებში დგება და ახალს მიმართულებას ღებულობს, უნდა უთუოდ ბოლო მოეღოს და ჩვენი ცხოვრებაც ნორმალურს პირობებში მოთავსდეს.

საერო კრებაში, რომელიც უმაღლესის ბრძანებით უნდა ამ მოკლე დროში შესდგეს, ჩვენმა წარმომადგენლებმა უნდა მოითხოვონ გამოცემა საქართველოსათვის იმისთანა განსაკუთრებულის კანონებისა, რომელნიც უზრუნველ-ჰყოფდნენ ჩვენის ერის ეროვნულს განვითარებას. ჩვენის აზრით, საჭიროა შემდეგი განსაკუთრებული კანონები, რომლებიც უნდა გამოცემულ იქნან ქართველების ეროვნულის არსებობის და განვითარების უზრუნველ-საყოფელად:

1. საქართველოში სახელმწიფო ენასთან ერთად და მის თანაბრად უნდა იხმარებოდეს ქართული ენა ყველა საადმინისტრაციო და სასამართლო დაწესებულებაში.
2. სწავლა ყველა ხარისხის სასწავლებლებში ქართველთათვის და ქართულად მოლაპარაკე მკვიდრთათვის უნდა სწარმოებდეს ქართულად. რუსული ენა, რუსეთის ისტორია და რუსეთის გეოგრაფია, როგორც ცალკე საგნები უნდა ისწავლებოდნენ რუსულადვე ყველა სასწავლებელში, გარდა პირველდაწყებითის სახალხო სკოლებისა.
3. საქართველოს მკვიდრი ჯარის-კაცები უნდა ჩაირიცხებოდნენ ხოლმე იმ პოლკებში, რომელნიც საქართველოს არე-მარეში იქნებიან დაბინავებულნი.
4. საქართველოს არე-მარეში მყოფი თავისუფალი ადგილები უნდა ეძლეოდეს დასასახლებლად საქართველოს უმამულო და მცირე-მამულიანს მკვიდრებს.
5. საქართველოს ეკკლესიის მართვა-გამგეობაში მონაწილეობა ჰქონდეს საეკკლესიო კრებას, როგორც ეს ჩვეულებად იყო ძველად, და საქართველოს ეკკლესიის მთავარ-ეპისკოპოზსაც ირჩევდეს ეს კრება.
6. მოხელეებად საქართველოში ინიშნებოდნენ უპირატესად საქართველოს მკვიდრნი.
7. საქართველოს სამი გუბერნია—ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმისა და ორი ოლქი—სოხუმისა და ზაქათალისა—შეადგენდნენ ერთს საქართველოს ერობას ნაცვლად საგუბერნიო ერობისა. საქართველოს ერობას ჰქონდეს უფლება აღძრას შუამდგომლობა საქართველოს ერის ყოველნაირ საჭიროებათა შესახებ როგორც მთავრობის, ისე საერო კრების წინაშე.

დაწვრილებით თვითეულის ამ მუხლის განხილვას ჩვენ შევუდგებით შემდეგში.

დ. კ—შვილი.

გურიის ამბები

დაბა ჩოხატაურს რომ ვუახლოვდებოდით, კრიმ-გირეის თარჯიმანმა საუბარი გამართა ერთ იქაურ გურულთან: ამტკიცებდა, იმიტომ ხართ გურულები ნიჭიერი და გონებამკვირცხლი ხალხი, რომ უხვ, მდიდარ ბუნების კალთაში სცხოვრობთ, მშვენიერ მიწა-წყალს ჰპატრონობთ, მოჩხრიალე წყლებს და მობიბინე ყანებს დაჰყურებთო და სხვა-და-სხვა ამგვარი იდილია დაუხატა თარჯიმანმა გურულს და ბოლოს დასძინა, თქვენმა ბუნებამ გაგიხსნათ გონებაო. გურული ყურადღებით უსმენდა და ბოლოს დინჯად და გადაჭრით უპასუხა: „მართალს ბძანებთ, ბატონო, მჟავე ტყემალი ნამეტარს უხსნის ადამიანს გონებასაო". დამსწრეთ ძალა-უნებურათ გადავიხარხარეთ: გურული კაცის ორმა მოსწრებულმა სიტყვამ ერთი იოტის წამისად პირქვე დაამხო ჩვენის გულ-კეთილ ქართლელ თარჯიმანის ტკბილ-გრძნობიერად, სანტიმენტალურად გამოსახული იდილია. გურული კაცის მოსწრებულ სიტყვებში მწარე ირონიის სახით ნამდვილი ჭეშმარიტება იყო გამოხატული. უხვ ბუნების შემყურე გურულ ხალხს საჭმლად მჟავე ტყემალი და უბრალო მჭადი ხვდა, იგიც მცირედა აქვს, სიმინდის მოსავალიც ოცში ერთს თუ ჰყოფნის და როცა გამოელევა, ან მშრალზე უნდა დარჩეს ან სადმე უნდა ეძებოს ლუკმა-პური, რომ ცოლ-შვილი შიმშილით არ გაუწყდეს.

„გაჭირვებამ გვაიძულა კუჭის დასაკმაყოფილებლად მემამულეებისათვის მივვემართა,—უთხრა კრიმ-გირეის ჩოხატაურის კრებაზე ამორჩეულმა ერთმა დეპუტატმა, გაბეჯდულის გარეგნობის ახალგაზდა კაცმა.—მემამულეებმა თან-და-თან ხელი მოგვიჭირეს, რასაკვირველია, ჩვენ მოთმინება დავკარგეთ და გადავსწყვიტეთ მემამულეების ადგილებში მუშაობაზე ხელი აგვეღო. პოლიციამ, რასაკვირველია, თავისებურად, პოლიციურად შეხედა ამ ამბავს, გლეხების გაფიცვას. ბოქაული თავს დაგვეცა და მათრახითა და ლანძღვით აიძულა ზოგიერთი ჩვენთაგანი ხელწერილი დაედვა, ძველის პირობებით გვემუშავნა მებატონეების ადგილებში. თუ არ დაგვიჯერებთ, აგერ კრებაზე თავად ერისთავებიც არიან და დაამოწმებენ ჩემს სიტყვებს, სთქვა გლეხთა დეპუტატმა. ხალხიდან გამოვიდა ორი კაცი თავადნი ივანე და ჯაბა ერისთავები და ფრიად საყურადღებო ჩვენება დააწერინეს კრიმ-გირეის. „იმ მემამულეებს, —სთქვა ივანე ერისთავმა, რომელსაც სურვილი ჰქონდათ მორიგებით გაეთავებიათ საქმე გლეხებთან, პოლიცია წინაღუდგა, ხელი შეუშალა და ხალხის არჩეული დეპუტატები გაამათრახა. მეც მსურდა მორიგებით გამეთავებია საქმე გლეხებთან,—დაუმატა ჯაბა ერისთავმა—მაგრამ მაზრის უფროსმა წინააღმდეგობა გაგვიწია, შემოგვითვალა, წაბძანდით აქედანო. ნება არ მოგვცა ხალხთან მოლაპარაკება გაგვემართაო".

მკითხველი ნათლად ჰხედავს, რომ მემამულეთა მოწინააღმდეგე გლეხები მთავრობის მტრებად ჩასთვალა პოლიციამ და, რასაკვირველია, ნება არ მისცა მემამულეებს გარეულიყვნენ საქმეში და მორიგებით გაეთავებინათ. ეს მორიგება რომ მომხდარიყო, რა უნდა ექნა პოლიციას, ხომ ფეხ-ქვეშ ნიადაგი გამოეცლებოდა, სადღა უნდა ეძებნა მას მთავრობის მტრები, როგორ უნდა აღმოეჩინა ისინი, რათა მთავრობის წინაშე თავისი სამაკალითო თავგამოდებული ერთგულობა გამოეჩინა. ამ მხრივ მაგალითი აჩვენა ამათ გოგოლის დაუვიწყარს კომედიაში „რევიზორ"-ში გამოყვანილმა ქალაქის უფროსმა, გოროდნიჩიმ, რომელმაც ვითომ და რევიზორის ხლესტაკოვის ჩამობძანების დროს ბრძანება გასცა, ქალაქის სხვა-და-სხვა ადგილს ახალ-ახალი ბოძები დაესვათ და, როცა იმისი ხელ-ქვეითი მოხელეები ეკითხებოდნენ, რა საჭიროა ეს ბოძებიო, ლანძღვით უპასუხა, როგორ არ გესმით, რომ ამნაირად მე დავუმტკიცებ რევიზორს, რომ ცუდად არ ვზივარ, ვმუშაობ, ვცოდვილობ, ქალაქის გამშვენიერება და მოწყობა მწადიანო.

გადმომცეს, რომ მაზრის უფროსმა შემდეგის სიტყვებით მიმართა ნიგოითში გლეხებს, რომელთაც მემამულეთა ადგილებში მუშაობაზე ხელი აიღეს, და ერთხმად გაიფიცნენ: „თქვე ასეთებო და ისეთებო, დღეს მემამულეთა წინააღმდეგ ამხედრდით, ხვალ, უეჭველია, ხელმწიფესაც გამოუცხადებთ წინააღმდეგობასაო!" ეს თავისი სიტყვები

ფელეტონი

კახეთის ამბოხება 1812 წ.

ისტორიული ამბავი

შფოთისა და მღელვარების ნაპერწკალი პირველად ამოვარდა ს. ახმეტას 31 იანვარს 1812 წ. აქედან ამბოხების ალი მოედო კახეთს, გადავარდა შუაგულ ქართლში, დასავლეთით უწია ოსეთს და მოუახლოვდა თვით ტფილისს. მღელვარების ცეცხლსა და ბოლში გახვია ქიზიყი, შეატრუსა დღევანდელი ზაქათალა და თითქმის შექის სახანოს მიაღწია აჯანყებამ.

უბედური იყო პირველი ხანა რუსის მთავრობის დამკვიდრებისა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. მღელვარებითა და დრტვინვით მიეგება კნორრინგს საქართველოს წარჩინებული თავადიშვილობა. დიდად იუცხოვეს თავადიშვილებმა კნორრინგის უცნაური საქციელი, რომელმაც სალდათები გარს შემოავლო სადგურს, სადაც 8 მაისს 1802 წ. რუსის იმპერატორის ერთგულების ფიცი მიიღო ქართველმა თავადიშვილობამ და მოქალაქეთ. ყველაზე მეტად გულნაკლული იყო კახელობა. მათში გაატარა სიყმაწვილე და სიჭაბუკე სახელოვანმა მეფე ერეკლე მეორემ, მათთან იღწოდა ქვეყნისათვის და მათშივე მიებარა საფლავს. ალბად, ეს იყო მიზეზი, რომ უწინარეს ყოვლისა ამბოხებამ კახეთში იჩინა თავი. არ გასულა დიდი ხანი ნაძალადევი ფიცის შემდეგ და იმავე 1802 წ. კახეთში დაიწყო ამბოხება. მთავრობამ მალე ჩააქრო მღელვარება თავად-აზნაურებისა, ბევრნიც დასაჯა, მაგრამ ვინც გადარჩა სასჯელს, ადვილად არ ურიგდებოდა ახალს რეჟიმს და ჰფანტავდა საქართველოში უკმაყოფილების თესლსა.

უფრო საშიშო და სავალალო იყო რუსის მთავრობისათვის აჯანყება მთიულეთისა 1804 წ. ათას რვაას ორს წელს პროტესტს აცხადებდა ფეოდალობა, 1804 წელს-კი ამხედრდა თვით ერი, შეჰკრა საქართველოს სამხედრო გზა და მთლად მოსწყვიტა მეტროპოლიას მხედრობა, საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში გაბნეული. თუ ამ დროს თ. პავლე ციციშვილი არ ყოფილიყო საქართველოში მთავარ-მართებლად, ეგები რუსეთი სამუდამოდ გამოსთხოვებოდა ამიერ-კავკასიაში ბატონობას. ამ შესანიშნავმა სარდალმა მცირე მხედრობით მოახერხა და ჩააქრო აღგზნებული ცეცხლი და რუსეთის გვირგვინს შეუნარჩუნა ჩვენი ქვეყანა.

1812 წლამდე მთავარ-მართებლობდნენ საქართველოში ციციშვილის სიკვდილის შემდეგ გუდოვიჩი და ტორმასოვი. არც ერთს მათგანს ერთი ბედნიერი დღე არ უნახავთ ჩვენს ქვეყანაში. ან ოსმალეთსა და სპარსეთს ებრძოდნენ, ან შინაურ ამბოხების ჩაქრობას უნდებოდნენ. ტორმასოვმა მთელი თვისი ძალ-ღონე იმერეთის უკანასკნელ მეფე სოლომონთან ბრძოლას მოანდომა.

წარსულ საუკუნის განმავლობაში მღელვარება და შფოთი თითქმის არ შეწყვეტილა საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეს. 1810-1811 წელს ბატონიშვილმა ლევანმა ააჯანყა ოსეთი, 1813 წ. ბატონიშვილმა ალექსანდრემ ფეხზე დააყენა ხევსურეთი. დიდი ამბოხება მოედო იმერეთს 1820 წ. და ბევრი სისხლიც დაიღვარა. დიდმა უკმაყოფილებამ იჩინა თავი ქართლში 1830-32 წ. ყველას ახსომება აგრეთვე გლეხთა აჯანყება სამეგრელოში ეკატერინე მთავრინას დროს. თუ არ ვიანგარიშებთ წვრილ-წვრილ მღელვარებას გურიასა, სვანეთსა და აფხაზეთში, უკანასკნელ ამბოხებად უნდა მივითვალოთ მღელვარება აფხაზეთისა წარსულ რუს-ოსმალოს ომის დროისა 1878 წ. სიწყნარე და მშვიდობიანობა ამ დროიდან თითქმის აღარ შერყეულა საქართველოში.

ამბოხების ცეცხლი რომ მოედო კახეთს 1812 წ., ჩვენში მთავარ-მართებლობდა მარკიზი პაულუჩჩი. როგორც 1804 წ. თ. ციციშვილმა იხსნა რუსის მხედრობა გაწყვეტისა და განადგურებისაგან, ისე მარკიზ პაულუჩჩიმ გაუწია პატრონობა რუსის ჯარსა და მოხელეობას. ამბოხებამ რომ იფეთქა, მარკიზი ქართლში არ იყო. აღმოსავლეთ კავკასიაში, ჯარებს ათვალიერებდა და თვდარიგს იჭერდა სპარსელების შემოსევის წინააღმდეგ. გაიგო თუ არა კახეთის ამბები, ფიცხლავ გაჩნდა ტფილისში და სულ რაღაც ორი-სამი თვის განმავლობაში ჩააქრო აგიზგიზებული ცეცხლი.

ძნელი დრო იყო რუსის მხედრობისათვის ეს დრო. იმპერია ემზადებოდა ნაპოლეონის დასახვედრად და თავი ვისა ჰქონდა ეზრუნა საქართველოში დაბანაკებულ ჯარისათვის. ჯარის მომატებაზე მთავარ-მართებელი კრინტსაც ვერა სძრავდა. მომატება-კი არა, კიდევაც შეუმცირეს. ჯერ ისევ 1811 წელს სამხედრო მინისტრმა მოსთხოვა ტორმასოვს—დააბრუნე რუსეთს ორი დრაგუნის პოლკი: ტაგანროგისა და ვლადიმირისა და ორიც ქვეითა ჯარის პოლკი: სევასტოპოლის მუშკეტერისა და 46 ეგერებისა. ტორმასოვმა დრაგუნთა პოლკები დააბრუნა რუსეთს და ითხოვა ქვეითა ჯარის პოლკები მაინც დაეტოვებინათ, მაგრამ თხოვნა უყურადღებოდ დასტოვეს, შინ რომ ბავშვი ტიროდეს, ტაბლას გარეთ რა ხელი აქვსო. ტორმასოვი გაიბუტა, მცირე მხედრობით რას გავხდები ამ შფოთიან ქვეყანაშიო და სამსახურს დაეთხოვა. 1811 წ. 6 ივლისის რესკრიპტით ავადმყოფობის გამო ტორმასოვი დაითხოვეს სამსახურიდან და იმის ადგილზე დაინიშნა იმავე რესკრიპტით მთავარ-მართებლად მარკიზი პაულუჩჩი.

1812 წ. გაზაფხულზე სრულიად საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში რუსის მხედრობა არ აღემატებოდა 28,000 ჯარის კაცს. აქედან ხუთი ბატალიონი და ერთი ყაზახთა პოლკი იყო დაბანაკებული იმერეთსა, სამეგრელოსა, გურიასა და აფხაზეთში; ქართლში შვიდი როტა, სამი ესკადრონი და ყაზახთა ერთი პოლკი; ჯავახეთში სამ ნახევარი ბატალიონი და ყაზახთა ერთი პოლკი; ბამბაკში გუმბრისაკენ ხუთი ბატალიონი და ორი პოლკი ყაზახებისა; შამხორის მხარეს სამი ბატალიონი და ყაზახთა პოლკი; ყარაბაღში ექვსი ბატალიონი და ერთი ჩარექი და ერთიც ყაზახთა პოლკი.

აქ მოხსენებული არაა, თუ რამდენი ჯარი იდგა კახეთში, ეს იმითი აიხსნება, რომ ჯარი მაშინდელ შფოთიან დროს ხშირად იცვლიდა ბინას და, ალბად, როცა გენერალი რტიშჩევი ამ მოხსენებას ჰგზავნიდა პეტერბურგს, კახეთიდან, აღელვების დაცხრომის შემდეგ, სხვაგან სადმე თუ გადაუყვანია იქაური მხედრობა. როგორც ქვემოდ დავინახავთ, ამბოხების დროს კახეთში ისე მცირე ჯარი იდგა, რომ სათქმელადაც არა ღირს.

დიახ, ჯარი რომ ცოტა იყო, მოშველების იმედიც არა ჰქონდა მარკიზ პაულუჩჩის. მტერი კი ურიცხვი. სპარსეთი და ოსმალეთი მოდარაჯებულნი იყვნენ, რომ როგორმე გაეძევებინათ საქართველოდან რუსეთი და მოსვენებას არ აძლევდნენ. როგორც ლახვარი, ისე მოხვდათ ერთსაც და მეორესაც ამბავი რუსობის დაბუდებისა საქართველოს მიდამოებში. ინგლისის წაქეზებით ოსმალეთმა და სპარსეთმა კავშირი შეჰკრეს, რათა თანხმობით ემოქმედნათ რუსების წინააღმდეგ. ინგლისმა 20,000 თოფი გამოუგზავნა სპარსეთს, ინსტრუქტორები ჯარის გასაწვრთნელად, ციხეების ასაგებად და ზარბაზნების ჩამოსასხმელად. ფულს აურებელს უგზავნიდა ინგლისი სპარსეთს ჯარის საჭიროებისათვის, ოქროს არც ოსმალეთი იშურებდა სპარსეთისათვის, ოღონდ-კი ხელი არ აეღო რუსეთის სამტროდ. სპარსეთის შაჰის ფირმანებით იფინებოდა საქართველო, ემისარები დაძრწოდნენ და აღელვებდნენ ქართველებს რუსების წინააღმდეგ.

ამას ისიც უნდა მიუმატოთ, რომ დაუძინებელი მტერი რუსეთისა, ტახტის მაძიებელი ბატონიშვილი ალექსანდრე ერეკლეს ძე, სპარსეთის სამზღვარზე იდგა და ელოდდა მოხერხებულს დროს შემოსეოდა საქართველოს სპარსელთა მხედრობით, და ან სულ გაეწყვიტა რუსის ჯარი, ან გადაერეკნა კავკასიის უღელ-ტეხილს იქით. ბატონიშვილის წერილებით სავსე იყო საქართველო. ერთგულნი მხლებელნი როგორღაც უსხლტებოდნენ რუსის დარაჯებს და მრავლისაგან მრავლად აბნევდნენ მის პატარა ლაკონიურ ბარათებს. სიყვარულით აღსავსე წერილები გულს უთუთქავდა ქართველობას და აძულებდა რუსობას. ასე გასინჯეთ, დაღესტანი, რომელიც ჩვენის მოყვრობით თავს ვერ გამო-

მათრახით ალბექდა მაზრის უფროსმა გაფიცულ გლეხების ზურგზე საშვილიშვილოდ გადასაცემად და ამით დაუვიწყარი სახელი მოიხვეჭა ჩვენ სამშობლო ისტორიაში. პოლიციის მოხელის ამ საუცხოო სიტყვებმა ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა გლეხთა გულიდან ნდობა მთავრობის მიმართ. „დარწმუნდით,—ერთსულად, ერთხმად გამოუცხადეს გურულებმა კრიმ-გირეის ყველა კრებებზე,—რომ მთავრობა ჩვენ მოწინააღმდეგეთა მხარეს იჭერს, ხალხის ნამდვილ ინტერესს, გლეხების უმთავრეს საჭიროებას ჩალადაც არ აგდებს და იმათ ემხრობა, ვისაც ჩვენზე მეტი ქონება და ძალა აქვსო“. მაზრის უფროსის სიტყვებმა იოტის წამისად გაუმხილეს გაფიცულ გლეხებს, რომ ადმინისტრაციის თვალში ისინი ყმები არიან, უფლება-ახდილნი, თავის სურვილის არა მქონე უბრალო ორფეხა პირუტყვნი, და მხოლოდ ის მიწა უნდა ეხნათ, რომელსაც ადმინისტრაცია მიუთითებდა,—პატრონის მორჩილ ხარებსავით იმ კვალს არ უნდა ასცდენოდნენ, რომელშიაც პოლიცია ჩააყენებდა.

„რამდენიც უფრო გაგვიხურა ზურგი პოლიციამ, მით უფრო განზე გავიწიეთო“, გამოუცხადა კრიმ-გირეის ჩოხატაურის კრებამ.

დეპუტატების წრიდან გამოვიდა და გაჩერდა კრიმ-გირეის წინ ასე 65 წლის მოხუცებული გლეხი და უამბო, როგორ გაამათრახა იგი პოლიციამ გაფიცვაში მონაწილეობისათვის. მოხუცს მშვიდობიან, დინჯ, შრომით დაღარულ სახეს უმშვენებდა გრძელი სრულიად გათეთრებული წვერ-ულვაში. თვითეულ მისი დამშვიდებული სიტყვა, დინჯად, მკაფიოდ წარმოთქმული, პატივისცემას უღვიძებდა გულში ადამიანს ამ მოხუც მუშაკის მიმართ, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შრომასა და სიღარიბეში გაატარა, მოხუცებულობის დროს იმედი მიეცა თავისი გაჭირვებული ცხოვრება ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა, მიემხრო გაფიცულთ და ჯილდოდ პოლიციისაგან მათრახები მიიღო. უნებლიეთ ფიქრობდით იმაზე, თუ რატომ მოექცა ასე პოლიცია ამ მოხუცს, რატომ არ დაზოგა იმისი მოხუცებულობა, პატივი არ სცა გლეხის ჭაღარა წვერს და საზიზღარი, გრძნობათა ამღვრევი შეურაცხყოფა მიაყენა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უმწეო მიწის მუშაკთა წრეს ეკუთვნოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ დაკონკილი, ღარიბული ტანისამოსი ეცვა, მთელი თავისი სიცოცხლე ხმა ამოუღებლად მუშაობდა და იმის ნაცვლად, რომ ცხოვრების ალსასრულს ისევ ისე მდუმარედ, ხმა-ამოუღებლად ჩასულიყო ჩამარეში, უეცრად ისე გათამამდა, რომ რაღაც თავის საკუთარ სურვილების გამოთქმა გაბედა. ეს მოულოდნელი მოვლენა იყო მუნჯ მორჩილებას შეჩვეულ პოლიციისათვის, რომელმაც, რასაკვირველია, იმ წამსვე ერთად-ერთ თავის იარაღს მათრახს მიჰმართა კადნიერ მოხუცის დასადუმებლად.

„რატომ უმაღლესს მთავრობას არ მიმართეთ საჩივრით“?—ჰკითხა კრიმ-გირეიმ ჩოხატაურელ დეპუტატს. „ვისთან უნდა გვეჩივლა? როცა გუბერნატორი ჩამოვიდა, იგი უარესს სჩადიოდა“. ხალხი რაღაც ჯადოსნურ, გაუვალ მათრახების წრეში იყო მომწყვდეული. „რაც უფრო მაღლა ვჩიოდით, მით უფრო იზრდებოდა უსამართლობა“, ბამახსენდა გლეხთა დეპუტატის ნათქვამი მწარე ჭეშმარიტება. „რა იყო ჩვენი სურვილი?—განაგრძო გლეხმა:—მხოლოდ ის გვინდოდა, რომ როცა ხუთი ჩვენი თითი მუშაობდა, ერთს მაინც ემუშავნა ჩვენდა სასარგებლოდაო. მთელ გლეხობას გურიაში, როგორც კრებებზე გამოირკვა, კარგად, ღრმად აქვს შეგნებული, რა უსამართლობაა, როცა მიწის მუშაკი თავის ოფლით არჩენს სხვას, მიწის პატრონს, რომელიც გულ-ხელ-დაკრეფილია მთელ წელიწადს და მხოლოდ მოსავლის ჟამს გაცხარებით აფათურებს უსაქმო ხელებს გლეხის მწარე ოფლით აღზრდილ სიმინდში, რათა უდიდესი კერძი თავისთვის გამოჰყოს. გურულ გლეხთა ყველა სიტყვა-პასუხიდან ნათლად ირკვევა, ღრმად ალიბექდება თქვენს გულში რწმენა, რომ ხალხმა კარგად შეიგნო ეს უსამართლობა, ნათლად დარწმუნდა, რომ დედა-მიწა ყველა ადამიანთათვის თანასწორად არის შექმნილი, ყველასთვის საკმაოდაა, მხოლოდ ცხოვრების სასტიკმა წეს-წყობილებამ ახვედრა დედა-მიწა მუქთა მჭამელთ და განდევნა და მშრალზე დასვა ნამდვილი მიწის მუშაკი. „რა უნდა ქნას იმ ოსტატმა,—ამბობენ გლეხები,—რომლის იარაღი ბატონის ხელშია, რა დარჩენია სხვა, გარდა იმისა, რომ თვალებში შეჰყუროს მისთვის საჭირო იარაღის პატრონს, შრომის, ხელობის უცოდინარ მემამულეს, რომელსაც ბრმა ბედმა, ფულმა თუ მემკვიდრეობამ არგუნა მუშისათვის საცხოვრებლად საჭირო იარაღი“.

„მღვდლებმა წაბილწეს წმინდა სახარება, გარყვნეს ქრისტეს მცნება ადამიანთა ძმობისა და თანასწორობის შესახებ და მძლავრად ამოუდგნენ გვერდში ჩვენდა შესაჭმელადაო“.,—ამბობენ გურული გლეხები. ამ სიტყვებში მწარე, გულის მჩაგრავი ჭეშმარიტებაა. ისეთი მაგალითები მოჰყავთ მღვდლების „მოღვაწეობიდან“, რომ გულს მძიმე სევდა ეუფლება. ჩოხატაურის კრებაზე დეპუტატთა შორის ერთი ნამამასახლისარი იყო, რომელმაც გამოუცხადა კრიმ-გირეის, მიბრძანებდნენ და ვატყავებდი ხალხს მღვდლების დრამის ფულის ასაღებადაო, ვართმევდი ცულს, წალდს, კარდალს, ქვეშაგებს, ვგლეჯდი გლეხებს, უკანასკნელ საბანს ვძრობდი საჯაროდ გასასყიდად. როცა ვაჭრობა გაიმართა და არავინ იყიდა ეს ნივთები, უფროსებმა მე დამაბრალეს და 15 დღით ჩამსვეს „ნაობახშიო“. „მამასახლისად რომ იყავით, განა არ უთქვამთ თქვენთვის, რა და რა ნივთები შეგიძლიანთ გაუყიდოთ გლეხებს ვალშიო?“—ჰკითხა კრიმ-გირეიმ ნამამასახლისარს. „თვითონ გუბერნატორმა დაიარა ეს ადგილები, ნახა გლეხებისაგან წართმეული ნივთები. ადგილობრივმა პოლიციამ აუხსნა, რომ აქაური ჩვეულება ასეთიაო და გუბერნატორმაც დაუჯერა, რასაკვირველია. როცა საჩივარი განუცხადეთ, შემოგვყვირა—„დაჩუმდით, თორემ რუსეთში, ცივ ქვეყანაში ამოგაყოფინებთ თავსაო“. მთავრობამ აგვიხსნა, მარტო ხარები არ უნდა წაართვათ გლეხებს სახელმწიფო ვალში, დანარჩენის კი ყველაფრის წართმევის ნება გძლევათო“. ამნაირ ძარცვა-გლეჯით არჩენდნენ სოფლის მოხელეები „ქრისტეს მცნების მქადაგებელ“ მღვდლებს.

უკვე ბევრი სასოფლო-საზოგადოება შემოვიარეთ, ბევრ სახალხო კრებას დავესწარით, ბევრი სამწუხარო, გულის მომწყვლელი ამბავი შევიტყვეთ გურულ გლეხთა გამწარებულ ცხოვრებიდან. თვითეული სასოფლო კრება თავიდან ბოლომდის მარტო ძალმომრეობის, ადმინისტრაციის თავხედობის ამბავია. უსმენ გლეხთა სიტყვებს, გესმის, ღრმად გეწვეთება გულში ამ სიტყვებში გამოთქმული სევდის აღმძვრელი ჭეშმარიტება, ყურს უკდებ დაუსრულებელ საცოდაობის ამბავს და თან გიკვირს, რატომ უიმედობა, სასოწარკვეთილება არ გეუფლება, რატომ გჯერა რაიმე სიკეთე ამ ქვეყნად, რატომ სამუდამოდ გულს არ გიხუთავს ეს სულის მჩაგრავი სინამდვილე, რომელიც მაღრჩობელა გველის რკალივით მძლავრად, განუშორებლად გარს შემოხვევია მთელ შენს არსებას. სად არის ამ საიდუმლოების ახსნა? რა ეწინააღმდეგება შენს სულსა და გულში ამ უიმედობას, რა ძალა ებრძვის ამ სასოწარკვეთილებას და საბოლოოდ არ აჩაგვრინებს შენს არსებას? ეს ძალა, ჩემის აზრით, თვით ამ ჩვენ სამშობლო ხალხშია, ამ გურულებშია, რომელნიც ყოველ დღეს გარს გვეხვევიან, თავის დაუსრულებელ ჭირ-ვარამს მოგვითხრობენ ისეთის კილოთი, ისეთის იერით, რომ იუმედობა არ გეუფლებათ, პირ-იქით რაღაც მახლობელი, განთიადი გეხატება თვალ-წინ, რომელიც უეჭველად მალე მოევლინება ხალხის დღემდის გამწარებულ, წყვდიადით მოცულ ცხოვრებას. ამ განთიადის მომასწავებელი, ცხოვრების განახლების წინამორბედი ის მტკიცე, გაბედული და ცოცხალი კილოა, ადამიანის სულის შინაგან განწყობილების გამომსახველი ჰანგია, რომელიც გურული კაცის თვითეულ სიტყვას დაკრთის, გაზაფხულის მერცხალივით ფრთას გაჰკრავს და ნაღვლიან გულში სასიხარულო იმედს გიღვიძებს. უიმედობას მხოლოდ იმედ-დაკარგული კაცი შექმნის და ჩაგიწვეთებს გულში. არა აქვს ადგილი უიმედობას იქ, სადაც ხალხი გაბედულმა, ვაჟკაცურმა პროტესტმა შეაერთა თქვენ თვალ-წინ, ერთსულად და ერთსხეულად აქცია. მთავრობისაგან კაგზავნილ კაცის წინაშე დღეს გურიაში გამოდის არა მოწყალების მთხოვნელი მორჩილი მონა, არამედ ადამიანურ ღირსება შეგნებული ხალხი და ამ შეგნებამ, ამ გაღვიძებულმა გონებამ ფოლადის სიმკვეთრე შესძინა გურულ კაცის თვითეულ სიტყვას, თავისი ზნეობრივი ძალა და ღირსება გაგრძნობინა. სულიერ ზნეობრივ ძალას საუცხოო რამ თვისება აქვს: იგი ცხოვრების განმაახლებელი, ადამიანის სულის აღმაფრთოვანებელი ძლიერებაა.

ჩოხატაურის კრებამ განაცხადა კრიმ-გირეისთან საჩივარი ადგილობრივ ექიმის წინააღმდეგ, რამაც ადმინისტრაციის ძალმომრეობაზე უფრო დაგვღონა და შეგვაწუხა დამსწრენი. წინ-და-წინვე გადაჭრილ ფასს გვთხოვს ექიმი და თუ არ მივეცით, არ გვიაქიმებსო, სთქვეს კრების წარმომადგენლებმა. ასეთი შემთხვევაც მოხდა: ექიმი ერთ ავადმყოფთან წავიყვანეთ, შუაგზაზე კაცი შემოგვაგებეს და გვაუწყეს, რომ ავადმყოფი უკვე გადაცვლილიყო. ექიმმა ამ ამბავს ყურადღება არ მიაქცია, მოგვთხოვა და გვადაგვახდევინა სრულად თავისი გარჯის ფასიო“.

რა მოეთხოვება უვიც პოლიციელს, რომელსაც ყველა სატკივართა უებარ მკურნავ წამლად მხოლოდ თავისი მათრახი მიაჩნია! ექიმი კი ხომ განათლებული კაცია, რომელსაც პოლიციელზე ბევრად მეტი მოეთხოვება, და განათლებულ კაცს ხალხის ოფლით შეძენილ ცოდნა-განათლებით ვაჭრობა უფრო შეარცხვენს, ვიდრე პოლიციელს მისი განუშორებელი მათრახი.

ჩოხატაურის კრებამაც თავის მხრივ მარტივად და გონივრულად გამოსთქვა გურულების საზოგადო სატკივარი და წარმოადგინა საერთო მოთხოვნილებანი, რომელნიც უკვე დაწვრილებით ვაუწყეთ მკითხველებს.

ი. ნაკაშიძე.

ახალი ამბავი

◆ კვირა საღამოს **ქართლელ თავად-აზნაურობას** თათბირი ჰქონდა გორის მაზრაში გლეხთა მოძრაობის შესახებ. როგორც თავად-აზნაურთა ცნობებიდან გამოირკვა, გლეხობის მოძრაობას სარჩულად უდევს ხალხის ეკონომიური და უფლებრივი შევიწროება. ქართლელი გლეხი დიდს გაჭირვებას ითმენს ტყისა და საძოვრის უქონლობისა, ადგილ-მამულის სიმცირისა, საიჯარო ფასებისა და ღალის სიდიდისა გამო; მეორეს მხრით, გლეხები უჩივიან პოლიციისა და მღვდლების თვითნებობას, თავის უუფლებობას და დაჩაგვრას. ზოგიერთმა დამსწრემ აღნიშნა, გლეხთა მოძრაობა მეტად აგრესიულ მიმართულებას იღებსო: გლეხები გვემუქრებიან მთელ მიწა-წყლისა და ქონების წართმევას, ამოწყვეტასა და სხვა; ზოგან-კი მოძრაობა უფრო მშვიდია და ბოიკოტის ფორმას იღებსო. იმის შესახებ, თუ რა გზას დაადგეს თავად-აზნაურობა, ბევრი სხვა-და-სხვა აზრი გამოითქვა. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ, რამდენისამე პირის გარდა, ყველა წინააღმდეგი იყო რეპრესიულ ღონისძიებებისა. უმეტესობა ამბობდა, ჯარი და პოლიცია საქმეს ვერ უშველიან, ძალადობით ურთიერთობა უფრო გამწვავდება და ამიტომ საჭიროა სხვა საშუალებას მივმართოთო. ზოგი ამბობდა, დაუყოვნებლივ მოვიწვიოთ თავად-აზნაურთა საგანგებო კრება და იქ შევიმუშაოთ საჭირო ღონისძიებანი; ზოგი არჩევდა კომისიის დანიშვნას. უმრავლესობა უკანასკნელითა აზრს მიემხრო, ესე იგი, საუკეთესოდ სთვლიდა კომისიის არჩევას, რომელმაც უნდა იკისროს ქართლის მოვლა, გლეხთა მოთხოვნათა გაგება და თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის მოლაპარაკების გამართვა. ვერ შეთანხმდნენ მხოლოდ, ვინ უნდა იქმნას არჩეული ამ კომისიაში; ზოგი საჭიროდ სთვლიდა ისევ თავად-აზნაურთაგან არჩევას. ზოგი-კი ურჩევდა გარეშე პირთა—პრესსის, საზოგადოების წარმომადგენელთა—მოწვევას. საბოლოოდ ეს საკითხი კვირას ვერ გადაწყდა და კრება გადაიდო ორშაბათ საღამოსთვის.

◆ ნოვგოროდის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლისაგან ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის სახელზე წერილი მოსულა. წერილში მარშალი აცნობებს: ჩვენ, თავად-აზნაურნი, მოკლე ხანში ვაპირებთ წარვდგეთ ხელმწიფის წინაშე და ვთხოვოთ **სახელმწიფოს ძირითად რეფორმების** მოხდენა. ამისათვის კარგი იქნება, თუ თქვენც გამოგვეხმაურებით. წერილში აღნიშნულია დაწვრილებით თუ როგორის ფორმით უნდა შეიცვალოს აწინდელი წეს-წყობილება.

◆ ბათუმის ქალაქის მოურავმა ამას წინად მისალოცი დეპეშა გაუგზავნა **კავკასიის ნამესტნიკად დანიშნულს** გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს. საპასუხოდ მოურავმა შემდეგი დეპეშა მიიღო: „გულით ვმადლობ თქვენ ბრწყინვალებას და ბათუმის ქალაქის საბჭოს ხმოსნებს მოსალოც დეპეშისთვის. ვიხელმძღვანელებთ რა უმაღლესის ბრძანებით, იმედი მაქვს, რომ ადგილობრივი საზოგადოებრივი ძალნი დამეხმარებიან ღვთისაგან ნაკურთხ კუთხის დამშვიდებისა და განვითარების საქმეში. გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი“.

◆ გუშინ-წინ კერძო კრება ჰქონდათ ადგილობრივ პრესსის წარმომადგენელთ **პრესსის მდგომარეობაზე** მოსალაპარაკებლად. პეტერბურგიდან მოსულ ოფიციალურ და კერძო ცნობებიდან სჩანს, რომ კობეკოს კომისიაში უკვე გადაწყდა რუსულ პრესსის ბედი: იგი განთავისუფლებულ იქნება ცენზურისაგან და დაწესებულ იქნება სასამართლოს წინაშე პასუხის მგებლობა. რაც შეეხება არა რუსთა პრესსას, ამის შესახებ კობეკოს კომისიას ჯერ არაფერი გადაუწყვეტია. მთავრობის (შინაგან საქმეთა სამინისტროს) წარმომადგენელს უთქვამს, არა რუსთა პრესსას შეღავათი უნდა მიენიჭოს, მაგრამ ცენზურას ვერ მოვუსპობთო. ამ ცნობების მიხედვით ტფილისის პრესსის წარმომადგენელთა კრება იმ აზრს დაადგა, რომ ადგილობრივ რუსულ პრესსას საპუთი არა აქვს რაიმე მოთხოვნით მიჰმართოს კობეკოს კომისიას; ქართულმა, სომხურმა და თათრულმა პრესსამ-კი უნდა დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი, რომ მომავალი რეფორმა ბეჭდვითი სიტყვის კანონმდებლობისა არ ასცდეს არა რუსთა პრესსასაო. სხვათა შორის გადაწყდა, ხსენებულ პრესსის წარმომადგენელნი გაიგზავნონ პეტერბურგს.

◆ გუშინ, 7 მარტს, ტფილისის ქალაქის **საბჭოს კრება იყო** დანიშნული. კრებას, სხვათა შორის, უნდა განეხილა საქმე პეტერბურგში გასაგზან დეპუტატების შესახებ. ამ საქმემ იმდენი ხალხი მიიზიდა, რომ გავლა აღარ შეიძლებოდა. ბევრ დაგვიანებულ ხმოსანს შესვლა ველარც მოეხერხებინა. ამის გამო ქალაქის მოურავმა კრება გადასდო დღეისათვის. როგორც ჰფიქრობენ, კრება მოხდება საარტისტო საზოგადოების დარბაზში ან სხვაგან სადმე დიდ სადგომში.

◆ სადგურ ორხევთან (ტფილისის მაზრა) უკვე მიუზომიათ **გადმოსახლებულ რუსთათვის** მიწები, გამოუყვანიათ წყარო და ამ მოკლე ხანში ჩაასახლებენ კიდეც.

◆ გუშინ, 7 მარტს, ტფილისის სადგურის მთავარ საწყობის ეზოში ერთმა მუშამ **კეტი დაარტყა და თავი გაუტეხა** რკინის გზის კანტროლიორ-მექანიკოსს მიხაილოვს.

◆ ამას წინად შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ტფილისის გუბერნატორს, მიაწოდოს ცნობები **ფარმაცევტთა ცხოვრების** შესახებ მათის მდგომარეობის შესასწავლად. ეს ცნობები რომ ცალმხრივი არ გამოდგეს, ე. ი. რომ მარტო აფთიაქების პატრონთ არ ეკითხოთ, ამ დღეებში ტფილისის ფარმაცევტებმა მოილაპარაკეს და გადასწყვიტეს, სთხოვონ გუბერნატორს, რომ ფარმაცევტთა ცხოვრებისა და მდგომარეობის შესახებ ცნობების შეკრების დროს გვერდი არ აუხვიონ ფარმაცევტებს და მათაც გამოჰკითხონ.

◆ ტფილისის ქალაქის თვითმმართველობის **აფთიაქის ფარმაცევტებმა** განცხადება გადასცეს სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორს და სთხოვეს, ქალაქმა ორის კვირის განმავლობაში შეუსრულოს მათ წინანდელ განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნილებანი. ფარმაცევტები, სხვათა შორის, თხოულობენ, თვითეულს ჯამაგირად ეძლეოდეს არა ნაკლებ 70 მან.

◆ **მუკდენის ბრძოლის დროს,** როგორც „ნოვ. ვრ.“-ს ატყობინებენ, მოუკლავთ ნოვოჩერკასკის პოლკის შტაბს-კაპიტანი თავ. ჯანდიერი. როგორც „ნოვ.“-ში დაბეჭდილ სიიდან სჩანს, იაპონელებს პორტ-არტურიდან სხვა ტყვეებთან ერთად წაუყვანიათ პოლკოვნიკი ლეონიდ ჩხეიძე.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას აზრადა აქვს რკინის გზის მიმოსვლის ნაწილს ჩამოაცალოს **სატელეგრაფო ნაწილი** და ამ ნაწილს ცალკე უფროსი დაუნიშნოს.

◆ ქუთაისის დრამატიული დასი ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით 10 და 11 მარტს **გორში გამართავს ორ წარმოდგენას.** დასი დასდგამს „ცხოვრების გარეშე“-სა და „კაი-გრაკხი“-ს.

◆ სანსკრიტულ სიტყვიერების პროფესორი ვენის უნივერსიტეტში და აკადემიის წევრი ლეოპოლდ შრედერი ჰფიქრობს ამ მარტში **ეტნოგრაფიურისა და ლინგვისტიურის გამოკვლევებისათვის** ამიერ-კავკასიაში ჩამოსვლას. მეცნიერი ლაგოდეხში ჩავა და იქ დარჩება ხუთ კვირას, მერე უკანვე დაბრუნდება.

◆ **განჯის სადგურზე** არსდება რკინის გზის მოსამსახურეთა საზოგადო საკრებულო. ადგილობრივმა გუბერნატორმა შუამდგომლობა აღძრა ამ საკრებულოს წესდების დამტკიცების შესახებ.

◆ როგორც დორპატიდან დეპეშით გვატყობინებენ, **გარდაცვლილა სტუდენტი** ნიკოლოოზ ნახუცრიშვილი.

◆ ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობა შეეკითხა პეტერბურგისა და სხვა ქალაქის გამგეობათ ეცნობებინათ ადგილობრივ ქალაქის სასაკლაოებში არსებობს თუ არა სალახთა არტელი და თუ არსებობს, როგორ არის მოწყობილი არტელის საქმე. გუშინ ხარკოვის ქალაქის გამგეობამ აცნობა, რომ ქალაქ ხარკოვს არა ჰყავს სალახთა არტელიო.

◆ კვირას, 13 მარტისათვის, დანიშნულია კრება ტფილისის დურგალთა არტელისა. არტელი, სხვათა შორის, განიხილავს წარსულ წლის ანგარიშს და აარჩევს გამგეობის წევრთ.

◆ ახალქალაქის (ჯავახეთი) საქალაქო სასწავლებლის შენობას ცეცხლი წაჰკიდებია. დამწვარა ინსპექტორის სადგომი და ავეჯი. ზარალი 5000 მანათამდის არის.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გუშინ წარუდგინა ტფილისის სახაზინო და საკონტროლო პალატას ამა მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.

რუსეთის ქრონიკა

საერო კრება. „ეკო-დე-პარი“-ს კორესპონდენტი იტყობინება, რომ ბულიგინის კომისია ერთ კვირაზე შეიკრიბებაო. ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის, თუ რა ხასიათის იქნება არჩეულებ[illegible]—გადიდებული სახელმწიფო საბჭო თუ სრულიად დამოუკიდებელი დაწესებულება; ეს კომისიამ უნდა გამოარკვიოს. უნდა გამოირკვეს აგრეთვე, როგორი იქნება საარჩევნო სისტემა, ვის ექნება ხმის უფლება და არა ამ ახალ დაწესებულებაში მონაწილეობის მიღებისა; უნდა გადაწყდეს აგრეთვე რაოდენობა არჩეულ წარმომადგენლებისა. ბულიგინის კომისიის გადაწყვეტილება წარედგინება განსახილველად ჯერ სახელმწიფო საბჭოს და შემდეგ ხელმწიფეს.

საყურადღებო ბძანება. „რუსკი ინვალიდ“-ში დაბეჭდილია: რკინის გზაზე იმდენად დიდი მოძრაობაა უბილეთო ჯარის-კაცებისა, რომელნიც სახლში ბრუნდებიან. ეს ჯარის-კაცები იჭერენ ადგილებს ვაგონებში იმის მიუხედავათ, თუ რომელ კლასის არის ეს ვაგონი, უწესოებას ახდენენ, არ ასრულებენ რკინის გზის მოხელეების კანონიერ მოთხოვნას. ხშირია აგრეთვე ჩხუბი, დავიდარაბა, კერძო ბაგაჟის დატაცება, დამტვრევა სადგურის შენობებისა, ცემა პასაჟირებისა და რკინის გზის აგენტებისა. ვაცხადებთ რა ამას, მივუწერთ უფროსებს უსასტიკესი ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას, და თუ განმეორდა კიდევ მზგავსი ამბები, პასუხის გება მოეთხოვებათ კომანდირებსა და ეშელონების უფროსებს. („რ. ს.“).

ე. ე. უხტომსკის ახალი გაზეთი „რაზსვეტ“-ი გამოდის პირველ მარტიდან. ერთ-ერთ მეთაურში ნათქვამია, რომ ახალი გაზეთი იქნება ორგანო რუსულ თავისუფალ აზრისა და თავისუფალ სიტყვისა.

საჩუქრის გაქრობა. ჯერ კიდევ წარსულ წლის ნოემბერში სადგურ „ურალგა“-ზე გაგზავნეს ეკატერინის გზის მოსამსახურეებმა ერთი ვაგონი სხვა-და-სხვა საჩუქრებისა დაჭრილ მეომრებისათვის. მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ ეს ვაგონი ჯერაც არ მოსულა დანიშნულ ადგილს. ამიტომ რკინის გზის სამმართველომ საგანგებო აგენტი გაგზავნა დაკარგულ ვაგონის მოსაძებნად. („პრ. კრ.“).

მოსკოვის სამეურნეო საზოგადოება დაიკეტა შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის განკარგულებით. თავმჯდომარე ამ საზოგადოებისა ბატ. პეტრუნკევიჩი პეტერბურგშია გაწვეული. („რ. ს.“).

ნ. გ. ჩერნიშევსკის თხზულებათა მეხუთე და მეექვსე ტომი აპრილში გამოვა. მეხუთე ტომში დაბეჭდილი იქნება ცნობილი რომანი „ჩტო დელატ“, მეექვსეში—საგლეხო საქმის შესახები წერილები.

იდებს, ისიც კი მზად იყო ხელი შეეწყო ტახტის მაძიებლისთვის და ბევრჯელ გაუწევია მასპინძლობა ალექსანდრესთვის. ტანჯვა-ვაებამ და კაეშანმა, დაუსრულებელმა წოწიალ-ხეტიალმა მთასა და ბარსა, შინ და გარედ, ზღაპრულ გმირად გარდაქმნა ბატონიშვილი ალექსანდრე ქართველთა და მთიელთა თვალში. ტუჩ-მოკუმული სახე სამეფო მთათა-ბარესი შეიმოსა შარავანდედით და სადაც კი მივიდოდა, იქ უსათუოდ ამბოხება იფეთქებდა რუსობის წინააღმდეგ.

[illegible] ვითარება საქართველოში, კახელებმა რომ აჯანყების დროშა აათრიალეს. შინაური საქმენი უარესად იყო აწეწილ-დაწეწილი. გლეხ-კაცობა ისე იყო გაბეგრილ-აკლებული, რომ მოთმინების ფიალა აევსო და იარაღს წამოავლო ხელი.

მასალად ამ ისტორიულ ამბის დასაწერად გვაქვს მეოთხე და მეხუთე ტომი არხეოგრაფიულ კომისიის მიერ დაბეჭდილ აქტებისა და მეორე ტომი გენერალ პოტტოს რედაქციით დაბეჭდილ წიგნის, სახელად „რუსთა მფლობელობის დამკვიდრება კავკასიაში“.

სულით და გულით ვსწუხვართ, რომ ამ ჟამად შეუძლებელია მიუდგომელის, მეცნიერულად დამუშავებულის ისტორიის დაწერა. ძვირფასი მასალაა შეკრეფილი აქტებში, ცოტა რამ სხვაგანაც მოიპოვება, ასე რომ ადვილად მოხერხდებოდა პირუთვნელი გამოკვლევა წარსულთა დროთა და ჟამთა. მაგრამ, ვიმეორებთ, დრო მეტის მეტად უხერხულია და ფუჭად ჩაივლის აღნიშნულ ხასიათის შრომა. ამის გამო იძულებული ვართ ზედა-პირზე ვიაროთ, გაბნეული ფაქტები რიგზე დავაწყოთ და ამ გვარად როგორმე მოვახერხოთ პერსპექტივის გაჩენა. დოკუმენტებში მოყვანილი ფაქტები ძალა-უნებურად კრიტიკის ქარ-ცეცხლს სცდებიან, მაგრამ რა ვუყოთ, უსარგებლოთ არც ეს შრომა ჩაივლის. უეჭველია, იგი დიდად შეუწყობს ხელს ერის თვით-ცნობიერებას. კარგი და ავი, ბნელი და ნათელი ხელის გულზე გადიშლება და მხოლოდ ბრმა თუ ვერ გაიკვლევს ცხოვრების გზას, თორემ თვალთა მხედველს არ გაუძნელდება გზის პოვნა, მასზე სიარული.

აქტების შემდეგ ფრიად საყურადღებოა დასახელებული პოტტოს წიგნი. ზოგი ამბავი ისეთის სითამამითაა აღნიშნული, რომ ჩვენ სრულიად კმაყოფილი დავრჩებით, თუ უცვლელად შევძლებთ მისი თარგმნა. სიტყვასაც აღარ მივუმატებთ ჩვენ თავად. წიგნი დაფუძნებულია აქტებისა, სამხედრო შტაბთა და არქივთა მასალაზე.—წიგნი შედგენილია საგენერალო შტაბის კაპიტან ნ. ს. ანოსოვის მიერ; ხოლო რედაქცია ეკუთვნის გენერალ პოტტოს. დაბეჭდილია სახელმწიფოს ხარჯით.

რადგან მოთხრობას პოპულიარულს ხასიათს ვაძლევთ, ამის გამო ტექსტს არ ავაჭრელებთ გადამეტებულის შენიშვნებით და სხოლიოებით. ვისაც სურვილი, ან დრო და მოცალეობა ექნება, იმან უნდა იშოვნოს ორთავე წიგნი და დასტკბეს თავის ქვეყნის ამბავთა კითხვით. მართალია, კილო ბევრჯელ ეუცხოვება, შეიძლება ბევრჯელაც გაწიწმატდეს, მაგრამ ვინ უშლის მონათლულ გადანათლოს და ფაქტსა და ამბავს ჭეშმარიტი ელფერი მისცეს. საწყენი მხოლოდ ერთია, აქტებიცა და ანოსოვის წიგნიც ძნელი საშოვნელია და თითქმის ხელმიუწვდენელი, განსაკუთრებით აქტები.

ა. ფრონელი

სტუდენტების გაფიცვა. სამოსწავლო ოლქის ერთ-ერთ მზრუნველს წარუდგენია სახალხო განათლების მინისტრისათვის დაწვრილებით შემუშავებული პროექტი სტუდენტების გამოკითხვისა შესახებ სწავლის შეწყვეტისა. თანახმად ამ პროექტისა, თითოეულ სტუდენტს უნდა გაეგზავნოს შეკითხვის ფურცელი, სურს თუ არა სწავლის განგრძობა; ამასთანავე სამინისტრომ გარანტია უნდა მისცეს ყველას, რომ არავითარ რეპრესიულ ღონისძიებას არ მიჰმართავენ იმ სტუდენტების დასასჯელად, რომელნიც გაფიცვის მომხრენი აღმოჩნდებიან. განათლების სამინისტროს მოეწონა ეს პროექტი.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

7 მარტი.

ტოკიო, 6 მარტი. სინციზინის დაჭერის დროს რუსებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.—გაზეთები დაბეჯითებით ამბობენ, რომ ლინევიჩი ჩანჩუნსა ან განჩატულინისაკენ დაიხევს.—კორეიის იმპერატორი გზავნის პრინც იჩაიკოკს, რათა მან მიულოცოს იაპონიის მეფეს მანჯურიაში გამარჯვება.

ლონდონი. გაიში განაგრძობს მუსაიფს პრესის წარმომადგენლებთან და დაბეჯითებით ამბობს, რომ იაპონია გულშიდაც არ გაივლებს ზავის ჩამოგდებაზე მოლაპარაკების დაწყებას, სანამ თვითონ რუსეთი პირველი არ განაცხადებს სურვილსო. თუმცა მე არ ვიცი, რა აქვთ მიზნათ სამხედრო პირთ, მაგრამ მაინც ისეთს არაფერს ვხედავ, რამაც უნდა დაუშალოს იაპონელებს მისდიონ რუსებს ჩრდილოეთისკენ მათ დასახევ საზღვრამდეო. იაპონელები მუკდენს თავიანთ ოპერაციების ბაზათ გაიხდიან, რადგანაც მუკდენსა და ხარბინს შორის მანძილი მესამედ ნაწილს შეადგენს იმ მანძილისას, რომელიც ხარბინიდგან ირკუტსკამდეა. ეს უკანასკნელი რუსების უახლოვესი ბაზაა. თუ რუსეთმა ვეებერთალა ჯარი შეინახა მუკდენში მთელის წლის განმავლობაში, იაპონია უფრო ადვილად შესძლებს ასეთივე ჯარი ხარბინში შეინახოსო.

ბერლინი. ხმებია, რომ იაპონიის სესხის შესახებ მოლაპარაკება ჩქარა დასრულდება; ეს ხუთ პროცენტიანი სესხი იქნება, დეიტშე ბანკი იკისრებს, ალბათ, გამოუშვას იაპონიის სესხი. ამბობენ, რომ იაპონელები წინადაც სცდილობდენ ესესხნათ ფული გერმანიაში, მაგრამ გერმანიის მთავრობა წინააღმდეგი იყო მაშინ, ეხლა-კი იგი არავითარ დაბრკოლებას არ ხედავს.

შანხაი. იაპონელთ მუკდენთან ბრძოლაში დაუკარგავთ 52000 კაცი, მათ რიცხვში ათასი ოფიცერი.—მუკდენთან წაყვანილ რუს-ტყვეთა პირველი პარტია, 5 მარტს მივა უზინში.

სინმინტინი. ყველა უცხოელებმა მიატოვეს მუკდენი. ბევრს მათგანს სინმინტინში მოაქვს საქონელი. მოკლულების დამარხვის საქმე კარგათ მიდის. დამარხვას ჯერ დიდ ხანს ვერ გაათავებენ, რადგანაც ორივე მხრით ბევრია დახოცილი.

ტოკიო, 5 მარტი. სამხედრო საქმეებში დახელოვნებული პირნი ერთხმად აღიარებენ, რომ რუსების მანჯურიიდგან გაძევება უკვე შესრულებული ფაქტიაო.—ყველას გაუკვირდა ტელინის უბრძოლველად მიტოვება, რადგან იგი ძლიერ იყო გამაგრებული როგორც ბუნებრივათ, ისე ხელოვნურათ და აგრეთვე ბევრი სურსათიც იყო დამზადებული. ტელინს იქით არაა ისეთი მოხერხებული და გამოსადეგი პოზიცია, სადაც შეიძლებოდა გამაგრებულიყვნენ რუსები იაპონელთა წინააღმდეგ. ეჭვი აქვთ იმაზედაც კი, რომ რუსები ხარბინში შეიძლებენ იაპონელთ დახვედრას.—სინცზინის მხრივ დახეული რუსები აუტანელ მდგომარეობაში არიან. ჩქარა იაპონელები იანიესა და გირინს დაიჭერენ.—გადასწყვიტეს მიითვისონ 300 ტონნა საკვები სურსათი, რომელნიც სინმინტანში იგდეს ხელთ. ტელინთან ბრძოლაში თავი ისახელა გენერალ ლავამურამ, რომელიც კავალერიას სარდლობდა. 5 მარტს იაპონელებმა გააძევეს რუსის ჯარები, რომელნიც ნეიტრალურ ადგილზე იდგნენ ლიაოხეს ახლოს, ტელინის ჩრდილოეთით.—ჩქარა მუკდენის რკინის გზაზე მატარებლების მიმოსვლა განახლდება.

ტოკიო, 6 მარტი. აქ მოსული იაპონელი აფიცერი ამბობს, კუროპატკინი ამ დღეებში დაიჭრაო. მას იმედი ჰქონდა ტელინს დაიცავ ერთის წლის განმავლობაშიო. „ასაჰი“ს კორესპოდენტი ამტკიცებს, რომ რუსები ტელინიდან ჩრდილოეთით ასი მილის მანძილზე იანშულინში დამყარდენო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

7 მარტი

ტოკიო, 6 მარტი. („რეიტერი“). იაპონელები მივიდნენ კაიუანში, რომელიც რუსებმა 5 მარტს მიატოვეს. რუსებმა წასვლის წინ ცეცხლი წაუკიდეს რკინის გზის სადგურს.

ტოკიო, 6 მარტი. („დეილი ტელეგრაფი“). იაპონიაში მცხოვრებმა უცხოელებმა ხელი მოაწერეს შინაგან სესხს, რომელიც 50 მილიონ იენს შეიცავს.

იოკოგამა, 6 მარტი. („დეილი ტელეგრაფი“) ინდოეთ-ჩინეთის ნაპირას ქარიშხალის დროს დაიღუპა იაპონიის კონტრ-ნაღმოსანი.

შანხაი, 7 მარტი. ევროპისა და ჩინეთის პრესას ბჭობა ჰქონდა „ტაიმს“-ის კორესპონდენტ მორრისენის იმ დეპეშის შესახებ, რომელიც შეეხება გერმანიისაგან მიღებულ ზომებს შანდუნში თავის გავლენის განსამტკიცებლათ; ამ ზომებს ნორრისენი მანჯურიაში რუსეთის პოლიტიკის მიბაძვას უწოდებს. ზემოხსენებულ პრესის აზრით მორრისენის გერმანიის წინააღმდეგ ქცევა შემდეგით აიხსნება: მორრისენი შურს იძიებს გერმანიის წინააღმდეგ, რადგანაც უკანასკნელი წინააღუდგა ინგლისის წინადადებას, რომლის ძალით ჩინეთს ნება უნდა მისცემოდა თავისუფლად ეყიდნა ოქრო; ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ოპერაცია ინგლისის ბანკებს გადაეცემოდა. წინააღდგომამ გერმანიისა, საფრანგეთისა და რუსეთისამ, რომელნიც თავიანთ და ჩინეთის ბანკების ინტერესებს იცავდნენ, ხელი შეუშალა ინგლისის სურვილების განხორციელებას. როგორც ამბობენ, პეკინში პროექტი შეაქვთ შანდუნისა და ცზიანცის პროვინციების ახლად ადმინისტრატიულ დაყოფის შესახებ, რადგანაც გერმანიის აგრესიული სურვილის ეშინიანთ. ამით იგინი სცდილობენ დაასუსტონ გერმინიის გავლენა ცალკ-ცალკე გუბერნატორებთან საქმის ქონებით.

პეტერბურგი, 7 მარტი. გენერალ ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა 6 მარტის თარიღით: „საღამოს 9 საათი. როგორც მეორე არმიის სარდლის მოხსენებიდან სჩანს, ჯარებს მტერთან შეტაკება არ მოსვლიათ. მესამე და პირველი არმიებიდან არ მომსვლია მოხსენება. დავათვალიერე რუსეთიდან ახალ მოსული ჯარები. ყოჩაღად არიან“.

მე-80 ტირაჟი მეორე შინაგან მომგებიანი.

სესხისა

№№ სერ.	№№ ბილ.	ჯამი მოგებისა	№№ სერი	№№ ბილ.	
1632	50	200,000	3283	11	ათას-ათასი მანეთი.
5678	47	75,000	16141	15	
6780	45	40,000	14342	39	
4187	44	25,000	4275	2	
4062	41	10,000	2100	48	
17626	16	10,000	14399	12	
1314	43	10,000	12304	46	
5629	29	8,000	12068	13	
11131	4	8,000	16801	1	
18748	22	8,000	8759	48	
17296	42	8,000	10416	49	
5827	8	8,000	8609	22	
6112	41	5,000	17330	11	
11661	43	5,000	10439	22	
7695	29	5,000	13810	33	
6130	10	5,000	17458	46	
13028	14	5,000	12488	1	
15562	18	5,000	19610	35	
12832	37	5,000	2787	18	
7227	20	5,000	11600	6	

ხუთას-ხუთასი მანეთი

№№ სერ.	№№ ბილ.	№№ სერ.	№№ ბილ.	№№ სერ.	№№ ბილ.
79035	1	2168	18	2282	35
13433	1	1287	18	7728	35
5000	1	9325	19	10011	35
10936	1	990	19	16518	36
9040	1	14133	20	10092	36
4870	2	13336	20	14338	36
11867	3	10899	20	7660	36
3335	3	7939	20	12841	36
11131	3	5569	20	1730	36
6733	4	4399	20	13713	37
16627	4	4813	20	5002	37
18048	4	8675	20	8274	37
8714	4	14782	21	12157	37
7371	5	8315	21	4075	37
19338	5	6835	21	2738	37
16621	5	6129	21	7058	37
889	5	788	21	11107	38
4164	5	387	21	12490	38
18849	5	16822	21	19500	38
2727	5	12971	22	14641	38
6620	5	7904	22	15583	38
1096	5	14187	22	18112	38
1739	5	868	22	4495	38
3765	6	17855	23	[illegible]	39
11164	6	13366	23	15970	39
3831	6	16028	23	14113	39
2984	6	93	24	8836	39
19228	6	9128	24	11309	39
1663	6	5798	24	3527	40
1339	7	15917	24	18092	40
1910	7	13151	24	14521	40
10333	7	7920	25	10642	40
10915	7	19424	25	9429	40
17352	7	17317	25	10831	40
8583	8	1833	25	18087	41
15989	8	13895	26	17678	41
16997	8	5003	26	9325	41
9801	8	5964	26	18673	41
11707	8	18625	26	6119	41
3224	8	5078	27	14769	41
8696	9	9594	27	11257	42
935	9	10526	27	16682	42
7618	9	4166	27	8236	42
15368	9	15450	28	576	43
6626	9	18516	28	3176	43
13895	9	2664	28	16072	43
10398	10	18360	28	19052	43
8910	10	10135	28	10481	43
18558	10	3632	28	8264	43
8252	11	12206	29	12155	43
9343	11	15494	30	14281	43
10445	11	14268	30	8848	43
19562	11	18908	30	15723	44
11180	11	7502	31	14536	44
15636	12	12617	31	535	44
15201	12	13369	31	7584	44
5167	12	11784	31	18311	44
5982	12	17239	31	16737	45
18713	13	15714	31	18777	45
6177	13	516	31	13200	45
19469	13	3783	31	0549	45
14030	13	17267	32	1148	45
3758	13	14274	32	10075	45
5891	14	18586	32	13369	45
6690	14	10970	32	16774	45
17443	14	11766	32	18543	45
12048	14	7110	32	820	45
19249	14	4183	32	9821	46
2860	14	14385	32	4280	46
7005	14	16697	32	8556	46
15908	14	2886	32	16894	46
9351	15	6887	32	13553	47
16700	15	3945	32	12649	47
12554	15	4778	33	4681	47
17548	15	411	33	7074	47
8809	15	12576	33	10731	47
18748	15	7287	33	14045	47
15499	16	11289	33	10771	48
3060	16	7001	33	6398	48
5616	17	13305	34	10794	48
17295	17	4146	34	12847	48
3049	17	18479	34	3417	49
625	17	6443	34	14011	50
18439	17	11905	34	13698	50
3420	17	19087	35	14935	50
11524	18	17917	35	5157	50
9259	18	14881	35		

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 4 მარტს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,05
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,70
ბირჟის დისკონტი	$5^{1}/_{4}$—$6^{3}/_{4}$%
4% სახელმწიფო რენტა	$89^{3}/_{8}$
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	391
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	$312^{1}/_{2}$
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	271
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$5^{1}/_{2}$% ობლ. იმავე საზოგად.	—
%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	$89^{1}/_{8}$
% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	—
მანთაშევისა და ამხ. აქცია	

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო [illegible] 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.;) 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. ამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4ს., 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში. ოფ ასუ ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, -სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისი. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩიტახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ამხანაგებს: ფედოსია ჩხეიძის, ანნა ოქროპირიძის და ელენე ცეცხლაძის ახლად გახსნილი

სამკერვალო

იღებს და ჰკერავს ყოველ გვარ ტანისამოსს ქალებისას და ბავშვებისას. ადრესი ეკკლესიის ქუჩა № 22, კუკიაში. (1—84—1)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა,

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ცინკოგრაფია

წიგნებ გამომც. ქართველთა ამხანაგობის:

ვანქის დიდი ქ., № 27, ტელეფ. 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ 12 მარტისთვის დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ხარფუხის სკოლისთვის მე-6 ნაწილში, საიდაბათის მოედანზე ერთ-სართულიან სკოლის შენობის აგების საქმე. მსურველმა ვაჭრობამდე უნდა წარადგინოს სამუშაოს ღირებულების 5%. განცხადებანი დაბეჭდილის კანვერტებით ბეჭთან ერთად წარდგენილ უნდა იქმნას გამგეობაში 12 მარტის 1 საათ.

პირობებისა და ხარჯთ-აღრიცხვის გასინჯვა შეიძლება გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დან 2 საათამდე. (3—6.—1)

ბროლის ვარდის ფერი

საპონი

№ 4711

შეიცავს ბევრ გლიცერინს.

დიდი ეკონომია, რადგან ბევრი ქაფი იცის.

ნაზი სურნელებ ვარდისა,—აი თვისება, რომლითაც ეს საპონი დიდად განირჩევა.

ფერდ. მიულჰენსი,

სამრეკლოში № 4711 კელნსა და რიგაში.

(6—მც.—4)

СѢДЕЛЬН.

СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ.—176—204)

ექიმის შპინდლერ-ბარნაის

„მარიენბადის რედუქციური აბები“

სიმსუქნის წინააღმდეგ

და საუკეთესო სასაქმებელი საშუალება

თითო კოლოფში ჩალაგებულია 60 აბი.

კოლოფები წითელ ფერის

დართული აქვს აღწერა იმისა, თუ როგორ უნდა მოიხმაროთ საშუალება, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და საფთიაქო მაღაზიებში. (3. 0—19)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—10).

იყიდება იაფად ტფილისსა და გორში ხეხილის ხეებიდა ნერგები ქ. აფრიკიანის სანერგეს „ტრუდ“-იდან.

მსურველმა უნდა მიჰმართოს: ტფილისში—მაღაზია მელიქ-ბახტამიანცისა და ამხან. პუშკინ. ქ. გორში—კ. აფრიკიანი. კატალოგები უფასოდ. (10—87—1)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მაწრაფლ-შავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ სავაჭრო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—5.—1)

(60—2(

Доз. цен. Тифлисъ, 7 Мартъ 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.